# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 6 მაისი 1997 №51 (416) ფასი 40 თეთრი

# მხოლოდ კარი გავიჯახუნეთ

ევროპა-აფრიკის ზონა. II ჯგუფი. პირველი წრე

## საქართველო 2:3 სლოვენია




### ჭიაკოკონა

გაბრიჩიძე და კაჭარავა — ური და პორი 6:7, 5:7, 7:6, 2:6

**(პარტია ორ მოქმედებად)**

შაბათ დილას, ცას რომ გავხედე, ვლადიმერ გაბრიჩიძის მიერ პრესკონფერენციაზე ნათქვამი გამახსენდა. მატჩის დანიელ კომისარს რომ დავეკითხე გაავდრების შემთხვევაში ასპარეზობის გრაფიკი როგორი იქნება-მეთქი, ვოკამ ედვარდ ჰედელენდს დაასწრო და მიპასუხა — წვიმის დროს ყველა გადახურულ კორტებს შევაფარებთ თავს და ლუდს ანაც გამაგრილებელ სასმელს მივირთმევთო. სამსაათნახევარი ეძალებოდა თავისთვის სასურველ სითხეს ლეილა მესხის აკადემიის კორტებზე მისული გულშემატკივარი...

...ამ დროს კი მუხლჩაუხრელად შრომობდა აკადემიის მომსახურე პერსონალი. კორტების დასაშრობად გარჯას თავად ბატონი ჰედელენდიც არ თაკილობდა.

ერეკლე კიკილაშვილისა და ბადრი კეთილაძის (ფოტო) რეპორტაჟი ჩოგბურთის აკადემიიდან იხილეთ მე-6 გვერდზე



გურამ [illegible] ფოტო

გუშინწინ „სინათლეზე“: „მერანი“ — „ივერია“. მატჩის გმირებს დავითაშვილსა და გაბისონიას (№11) რომ სცოდნოდათ, „ტორპედო“ ფოთში წააგებდა, მეტადაც გაიხარებდნენ.

საქართველოს ჩემპიონატი

# 24 ტური

მერანი 4:1 ივერია
დინამო 4:0 სიონი
მარგვეთი 2:1 დილა
კოლხეთი 3:2 ტორპედო
სამგურალი 3:0 გორდა
კახეთი 4:2 ოდიში
გურია 0:1 თსუ
სამტრედია 0:0 ბათუმი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 23 | 19 | 3 | 1 | 76:18 | 60 |
| კოლხეთი | 25 | 16 | 4 | 5 | 54:24 | 52 |
| ბათუმი | 24 | 15 | 7 | 2 | 54:13 | 52 |
| მერანი | 25 | 14 | 6 | 5 | 41:24 | 48 |
| ტორპედო | 24 | 12 | 3 | 9 | 59:47 | 39 |
| ოდიში | 24 | 11 | 1 | 12 | 43:37 | 34 |
| მარგვეთი | 24 | 11 | 1 | 12 | 38:50 | 34 |
| გურია | 25 | 9 | 3 | 13 | 29:50 | 30 |
| თსუ | 25 | 7 | 8 | 10 | 32:32 | 29 |
| დილა | 25 | 7 | 7 | 11 | 23:30 | 28 |
| სამტრედია | 25 | 8 | 3 | 14 | 24:44 | 27 |
| სიონი | 25 | 7 | 5 | 13 | 17:34 | 26 |
| სამგურალი | 24 | 7 | 4 | 13 | 24:44 | 25 |
| კახეთი | 25 | 9 | 1 | 15 | 24:49 | 23 |
| გორდა | 24 | 7 | 2 | 15 | 30:46 | 23 |
| ივერია | 25 | 5 | 6 | 14 | 19:44 | 21 |

# ვითა ხუთოსანია!

**შაბათს თბილისის „ვითა“ მეხუთედ გახდა საქართველოს ჩემპიონი**



გურამ [illegible] ფოტო

# ვაზაგაშვილი შემსუბუქდა

საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებმა ფრანკფურტის, კიოლნისა და ბრიუსელის გავლით შაბათს შუაღამისას ჩააღწია ოსტენდეს, ევროპის ჩემპიონატის მასპინძელ ქალაქს და სასტუმრო „მელინდაში“ დაბინავდა. ბრიუსელში სადეტექტივო ამბავი გადაგვხვდა. ბარგი რომ ჩავალაგეთ, მძღოლს ბარე ხუთმა კაცმა ვუთხარით, საბარგული კარგად დაკეტე-თქო. ამანაც დაგვაიმედა და... შუა ბრიუსელში აღმოვაჩინეთ, რომ საბარგული გაღებულიყო. არსად ჩანდა გიორგი ვაზაგაშვილის ჩანთა, რომელშიც ორი კიმანოსა და სპორტული აღჭურვილობის გარდა ძიუდოისტს სამოქალაქო ტანსაცმელი და პირადი ნივთებიც ეწყო. ავტობუსი სასწრაფოდ უკან გაბრუნდა და გამოვლილი გზა ხელახლა გაიარა, მაგრამ ჩანთას ვერსად მიაგნო. ოსტენდეში ჩამოსვლისთანავე განვაცხადეთ მომხდარის შესახებ. ბელგიის ძიუდოს ფედერაცია, კიმანოებს ჩვენ მოგართმევთ, დანარჩენს კი სატრანსპორტო ფირმას ვაზღვევინებთო, დაგვპირდა. გუშინ შუადღისას ნაკრებმა პირველად ივარჯიშა ტატამზე. ვარჯიში ოსტენდეს ძიუდოს კლუბის დარბაზში მოეწყო. ეს კლუბი იმითაა საინტერესო, რომ აქ აღიზარდა და კარიერის ბოლომდე მის ღირსებას იცავდა შესანიშნავი ბელგიელი ძიუდოისტი, ოლიმპიური ჩემპიონი რობერ ვან დე ვალე. სხვათა შორის, კლუბის კედლებზე გაკრულ ერთ-ერთ პლაკატზე ჩვენებური, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თემურ ხუბულურია გამოსახული.

ნაკრების მთავარი მწვრთნელის შოთა ხაბარელის თქმით, მზადება გეგმის მიხედვით და ნორმალურად მიმდინარეობს. ტრავმებს არავინ უჩივის, ზედმეტი წონა კი სოსო ლიპარტელიანს და გიორგი რევაზიშვილს აქვთ, თუმცაღა ისინი კარგად მიჰყვებიან წონის კლების გრაფიკს და ეჭვიც არ არის, რომ 9 მაისს, როცა მათი წონის ძიუდოისტები დაიწყებენ ასპარეზობას, ყველაფერი რიგზე იქნება.

**მერაბ რატიშვილი ოსტენდედან**

ვერის ბაღი. 5 მაისი. საქართველოს ჩემპიონატი. მატჩი მესამე ადგილისთვის. მეორე შეხვედრა.

# ღმერთო, უჩხუბრად გადაგვარჩინე!

## არცერთი დღე უსკანდალოდ

**სდასუ — ქიმიკოსი 65:63**

**სდასუ:** აბრამიძე (10), იაშვილი (10), დავითულიანი (20), ჩუბინიძე (5), დერიუგინი (2); ბენდიანიშვილი, მუშკუდიანი (10), აბულაძე (8)

**ქიმიკოსი:** გაბისონია, კიკვიძე (6), ნიკლაური (6), ჯაფარიძე (9), ბოისა (23); კეჭაყმაძე (3), კოჭლამაზაშვილი (16), გოგოლაძე

**მსაჯები:** მაჩალაძე, მოლოდინაშვილი

ეს მატჩი 3 მაისს უნდა გამართულიყო, უფრო სწორად, გაიმართა. მაგრამ მატჩის შედეგი გაუქმდა. საქმე კი ასე იყო: მატჩის დამთავრებამდე 1.19 წამით ადრე სდასუ 81:80 იგებდა, დავითულიანმა სამქულიანი ჩააგდო. რუსთაველთა მთელი გუნდი წამოიშალა და ერთ-ერთმა რუსთაველმა მსაჯსაც მიაყენა შეურაცხყოფა იმის გამო, რომ რუსთაველთა აზრით, სდასუს შეტევის დრო გაუვიდა. მსაჯებმა ჯერ ბურთიც ჩათვალეს და რუსთაველები ტექნიკური საჯარიმოთიც დააჯარიმეს, მერე კი გადათქვეს, აღარც ბურთი ჩათვალეს, არც ტექნიკური საჯარიმო და სდასუს შესთავაზეს შეტევისთვის დარჩენილი 7 წამი გამოეყენებინათ, რადგან შეიძლება მსაჯთა მაგიდიდან მართლაც არასწორად ჩართეს შეტევის დროო. ამაზე სტუდენტები არ დათანხმდნენ და მსაჯთა კოლეგიამ საათიანი მსჯელობის შემდეგ კომპრომისული გადაწყვეტილება მიიღო, გააუქმა მატჩის შედეგი (რომელშიც ორივე გუნდი ჩინებულად თამაშობდა) და მატჩი 5 მაისს გადაიტანა.

5 მაისს კი ამაზე უარესი სკანდალი მოხდა. სდასუ თავიდანვე დაწინაურდა და საგრძნობლადაც, მაგრამ მეოთხე წუთზე ჯაფარიძის წინააღმდეგ დერიუგინმა პერსონალური შენიშვნა მიიღო. ჯაფარიძემ ჯერ ბურთი მიარტყა დერიუგინს და შემდეგ კი იმდენ ხანს არ გაჩერდა, სანამ დერიუგინმაც არ ამოიღო ხმა და მსაჯმა ორივეს მისცა ტექნიკური შენიშვნა, რაც ამ ვითარებაში სრულიად გაუმართლებელი იყო. ამით სდასუ ძალზე ცუდ მდგომარეობაში ჩავარდა. დერიუგინი, ფაქტობრივად, ხელფეხშებორკილი დარჩა, მაშინ როდესაც რუსთაველებს ორი ძლიერი ცენტრი ჯაფარიძე და ბოისა ჰყავთ. დერიუგინმა კიდევ 7 წუთს გაძლო. ამ დროს ანგარიში იყო 24:15 სდასუს სასარგებლოდ. სტუდენტები განწირულნი ჩანდნენ. მაგრამ დერიუგინის ნაცვლად მუშკუდიანი შევიდა და სტუდენტებმა ბოლომდე ვაჟკაცურად იბრძოლეს. რუსთაველები მეორე ტაიმში ბოისასა და კოჭლამაზაშვილის ჩინებული თამაშის წყალობით დაეწივნენ მეტოქეს. მაგრამ მატჩის დამთავრებამდე 8 წამით ადრე სწორედ მუშკუდიანმა ჩააგდო გამარჯვების მომტანი ბურთი, რუსთაველებს კი სროლა გაუცუდდათ და სდასუმ სერიაში ანგარიში გაათანაბრა.

თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. მაგრამ ალბათ წლევანდელ ჩემპიონატს არ უწერია მშვიდად დამთავრება. დერიუგინი რუსთაველთა სკამისკენ გაეშურა, გამარჯვების მაუწყებელი ჟესტი აჩვენა და თავისიანებისკენ წავიდა. რუსთაველთა სკამიდან კი წამოენთო გაბისონია, დერიუგინს დაეწია და მუშტი გაარტყა. გაბისონიას სხვა რუსთაველებიც წამოეშველნენ, მოედანზე პოლიცია გავიდა და ჩხუბი უკვე მათს და სპორტსმენებს შორის ატყდა. ამ სიტუაციის განმუხტვას გვარიანი დრო დასჭირდა.

„სარბიელის“ მუდმივი მკითხველი შენიშნავდა, რომ ვერის ბაღიდან საკალათბურთო რეპორტაჟის მაგივრად რაღაც კრიმინალური ქრონიკის მსგავსი გამოგვდის. ამ ჩემპიონატზე, ალბათ, უკვე აღარაფერი მოგვარდება, შემდეგისთვის კი კალათბურთის ფედერაციამ ძალზე სერიოზულად უნდა იმსჯელოს ამ საკითხზე.

გადამწყვეტი მატჩი მესამე ადგილისთვის სდასუსა და „ქიმიკოსს“ შორის დღეს 13 საათზე გაიმართება. ღმერთო, უჩხუბრად გადაგვარჩინე!

**კოტე მგალობლიშვილი**

# სამუდამოდ

**კალათბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეს სდასუს მოთამაშის კოკა ეგუტიას მიერ „დინამოსთან“ ნახევარფინალური მატჩისას ჩადენილი საქციელი.**

**ეგუტიას სამუდამოდ აეკრძალა ეროვნული ჩემპიონატის მატჩებში მონაწილეობა.**

## ტუშე

**მსოფლიოს ჩემპიონატი ჰოკეიში**

ფინალური ექვსეულის მატჩები:
აშშ 4:3 ჩეხეთი
რუსეთი 4:1 შვედეთი

**ესპანეთის ჩემპიონატი ფეხბურთში**

XXXVI ტური

**ესტრემადურა 1:3 ბარსელონა**

# ტორპედომ დაიგვიანა

**კოლხეთი 3:2 ტორპედო**

ფოთი. სტადიონი „ფაზისი“
**კოლხეთი:** გოგუა, მიქაბერიძე (თიბილაშვილი 89), კაკაჩია, გიორგაძე, ტორჩინავა, ლაღანიძე, ფანჩულიძე, დ. მახარაძე (გოროზია 76), ე. გვასალია, დარასელია (ინიაშვილი 76), მ. ქობულაძე
**ტორპედო:** კიკალეიშვილი, ხვადაგიანი, თურმანიძე, შ. ხუჯაძე, სადილიანი, გიორგი ლომიძე, კვეტენაძე, ქებაძე (შენგელია 86), კ. მეტრეველი, აშვეთია, ვაჩიბერაძე (მ. მეგრელაძე 82)
1:0 მახარაძე (8), 1:1 კვეტენაძე (70), 2:1 გვასალია (74), 2:2 ლომიძე (78), 3:2 მიქაბერიძე (80)
**გაფრთხილება:** ტორჩინავა, თურმანიძე, გოგუა, ვაჩიბერაძე, მიქაბერიძე, კაკაჩია
**მსაჯი:** მ. მალაღურაძე (თბილისი)

**მამუკა კვანტალიანი** ფოთიდან

სატურნირო ვითარებამ ფოთში ისეთი გუნდები შეჰყარა, რომელთაც მხოლოდ გამარჯვებისთვის უნდა ებრძოლათ. სტუმარმაც და მასპინძელმაც კარგად უწყოდნენ, რომ დამარცხებული, ფაქტობრივად, ევროთასებზე გასვლის შანსს ემშვიდობებოდა. მეტოქეებს არც საყაიმო ანგარიში აწუგეშებდათ. მოკლედ, ფოთში, ტურის ცენტრალურ მატჩში დაძაბულ, უშეღავათო ბრძოლას ველოდით და, თამამად ვიტყვი, მოლოდინი გაგვიმართლდა. ამ თამაშში იყო ყველაფერი, რაც ფეხბურთს ამშვენებს. კარგად მოვლილი, რბილი მინდორი, თავგანწირული და კომბინაციური თამაში, ძალისმიერი, ხისტი ბრძოლა და რაც ყველაზე მთავარია, უშეცდომო, იდეალური მსაჯობა. ამ ყოველივეს დავუმატოთ ორივე გუნდის გულშემატკივართა თავდადებული ქომაგობა და, მეტი რა უნდა ინდომოს კიდევ კაცმა.

მალაღურაძის ჩასტვენისთანავე მასპინძლები თავდაუზოგავად ეკვეთნენ სტუმრებს და ისეთი ტემპი შესთავაზეს, რომ „ტორპედო“ ერთი ხანობა აშკარად დაიბნა. პირველი 30 წუთის განმავლობაში „კოლხეთი“ საქართველოს გუნდი კი არა, ინგლისის პრემიერლიგის პრიზიორი გეგონებოდათ. საკუთარ საჯარიმოს მიჯაჭვულმა სტუმრებმა მასპინძლებს ვერაფერი დაუპირისპირეს. მათი დაცვა და შუა ხაზი ისე აირია, ფოთელ ფორვარდებს პირველ ნახევარში სულ ცოტა ხუთი გოლის გატანა მართებდათ. ვერ ივარგეს. დავით მახარაძემ ჯერ მიქაბერიძეს ჩაუყარა ნაჯაფარი წყალში, როცა კარის წინ ეულად დარჩენილმა ბურთი ფეხებშუა გაატარა, მერე კი დარასელიას ჩინებული პასი ვერ გამოიყენა. დათომ გოლი მაინც შეაგდო. ფანჩულიძის მოწოდებულ კუთხურზე თავდამსხმელმა სტუმართა აჭრილ დაცვას აჯობა და თავით ზუსტად დაარტყა. ამ მომენტში პირველად და შემდგომ არაერთხელ შეცდა სტუმართა მეკარე. სწრაფმა გოლმა სტუმრები მთლად დააჩანაკა და „ტორპედომ“ პირველ ტაიმში დათმო ყველაფერი, რისი დათმობაც საფეხბურთო მინდორზე შეიძლება. ქუთაისელებს მთლად გამართულად ვერც ტაქტიკაში ჰქონდათ საქმე. ვერაფრით გამიგია, რატომ თამაშობდა აშვეთია თავდასხმის ფლანგზე, ხოლო მეტრეველი ცენტრფორვარდად. არადა, აქამდე პირიქით იყო. აშვეთიას ფლანგზე არა ესაქმებოდა, მიშა კარის წინ უნდა ტრიალებდეს და ბურთსაც მაშინ გაიტანს. მეტრეველისთვის კი მეტი სამოქმედო სივრცეა საჭირო, ჩემი აზრით, მისი ადგილი სწორედ ფლანგზეა. ასე რომ ყოფილიყო, სტუმართა შეტევებს მეტი სიმწვავე ექნებოდა. არც გიორგი ლომიძის დაცვის მარჯვენა ფრთაზე გამწესება მგონია სწორი. ლომას თავის საუკეთესო თამაშები დაცვის ცენტრში უთამაშია. მოკლედ, სხვა ბევრზეც შეიძლება იდავო, მაგრამ მსგავსი სქემით თამაში ხომ თავად ქუთაისელთა მწვრთნელმა ირჩია. სტუმრებს დაცვაში პრობლემა იმანაც გაუჩინა, რომ თამაშამდე ფეხმტკივან მაღლაკელიძეს მოთელვაზე ტრავმა გაუმიზეზდა და თამაში ვერ დაიწყო. ფრუიძემ მის ადგილზე სადილიანი გაამწესა, რომელმაც აშკარად ვერ გაამართლა. მოედნის ცენტრში თამაშის დალაგებას კვეტენაძე და ქებაძე ცდილობდნენ, რომელთაც ზურგს შალვა ხუჯაძე უმაგრებდა, მაგრამ სამივეს მასპინძელმა დარასელიამ აჯობა. თანაც კვეტენაძემ და ქებაძემ ბევრი კი იაქტიურეს, მაგრამ ბურთს აყოვნებდნენ, რითაც სასურველი და საჭირო წამები იკარგებოდა. მოკლედ, „ტორპედომ“ პირველ ტაიმში ერთი ბურთი გაუშვა, მაგრამ ვერაფერი თამაში გვანახა. შესვენებაზე ყველას ერთი კითხვა ეკერა პირზე, შეინარჩუნებდა თუ არა იმ ტემპს „კოლხეთი“, სტუმრებს დასაწყისიდანვე რომ შესთავაზა? ვერ შეინარჩუნეს. მეორე ტაიმში მოედანზე სხვა „ტორპედო“ გამოვიდა. არა, ფეხბურთელები იგივენი იყვნენ, ოღონდ გააფრთებულები და შეთამაშებულები. ახლა უკვე „კოლხეთმა“ იწყო თავდაცვა და საჯარიმოს მიეჯაჭვა. ამას ისიც დაემატა, რომ დარასელია დაშავდა. ძუკუმ მცველთან ჭიდილში მხარი იტკინა და დარჩნენ ის და „კოლხეთი“ ფრთამოტეხილნი. სწორედ მაშინ გახურდა თამაში. აშკარა იყო, მასპინძლები გოლს გაუშვებდნენ და კვეტენაძემაც არ დააყოვნა. კახამ მასპინძელთა დაცვის მიერ დაკარგული ბურთი შეიშნოვა და გოგუას ზუსტად დაურტყა. მანამდე სტუმართაგან შეუწუხებელი მეკარე ბურთს ყოჩაღად ვერ დაუხვდა. ანგარიში გათანაბრდა. ამ მომენტიდან ყველას ეგონა, რომ ჩინებულად ათამაშებული სტუმრები მოიგებდნენ, მაგრამ ისინი გვასალიამ არ გაახარა. „ტორპედომ“ სტუმართა კონტრშეტევა ჩაშალა და ბურთი ქებაძეს მიუვიდა. ამან იმდენი აწვალა, სანამ არ წაართვეს. ფანჩულიძემ მონაპოვარი მყისვე გვასალიას გადაულოცა და ელდარმაც მყისიერადვე დაარტყა. ოცი მეტრიდან დარტყმული ცხრიანში შეფრინდა. სტუმრებს ყურები არ ჩამოუყრიათ. თავიდან იწყეს საქმის გამოსწორება და ამ მონაკვეთში მომავლის „ტორპედო“ ვიხილეთ. ფოთელები დროის გაყვანას მიეძალნენ. აირივნენ. ბურთი მასპინძლებს, ფაქტობრივად, არ უჩერდებოდათ და აშკარად ჩანდა, ვერ გაძლებდნენ. ფილიამ მახარაძე და დარასელია გამოცვალა. მინდორზე მცველები შეუშვა და უკანა ხაზი გაამაგრა. ვერც ამან უშველა. „ტორპედომ“ მაინც ივარგა. კუთხურიდან ჩაწოდებულზე გოგუა ანგარიშმიუცემლად გამოვიდა, შეცდომა. მოგეხსენებათ, ძვირად ფასობს და საჯარიმოში ჩასულმა მარჯვენა მცველმა გიორგი ლომიძემ ანგარიში ერთხელაც გაათანაბრა. მისი თაური ცარიელ კარში შევარდა. თამაშის დამთავრებამდე 12 წუთი რჩებოდა. სტუმრებმა მოსაგებად გაიწიეს, რატომაც არა, უპირატესობა მათი იყო. ამ მომენტში „ტორპედოს“ შემადგენლობა ახალ სისხლს ითხოვდა. დარწმუნებული ვარ, მწვრთნელებს მინდორზე გიორგი შენგელია ან მერაბ მეგრელაძე, გნებავთ, სხვა მოთამაშე რომ შეეყვანათ, მატჩს მოიგებდნენ კიდეც. მეგრელაძემ და შენგელიამ ბოლო წუთები კი ითამაშეს, მაგრამ იმ დროისთვის უკვე ყველაფერი გარკვეული გახლდათ. არადა, გოლის გასვლას კი არა, ოდნავ ხიფათსაც არავინ ელოდა. მცველებმა ბურთი მეკარეს მიუგორეს, კიკალეიშვილი რატომღაც აჩქარდა და ბურთი მისკენ გამოქანებულ ფანჩულიძეს თავში დაუმიზნა. გელამ მისკენ წამოსულ ბურთს თავი მშვიდად შეუშვირა, ისიც მიქაბერიძეს მიუგორდა და ამან ცარიელ კარში შეაგდო. დარჩენილ ათ წუთში მასპინძლებმა სასურველი ანგარიში შეინარჩუნეს, რითაც სტუმრებსაც გული დასწყვიტეს და სტადიონზე მრავლად მოსულ ქუთაისელ გულშემატკივრებსაც. ამ მარცხის მერე „ტორპედოს“ მეოთხე ადგილზე გასვლის იმედი თითქმის გადაეწურა. თეორიული შანსი, რაღა თქმა უნდა, შეინარჩუნა, მაგრამ „მერანი“ ნაღდად არ არის ცხრაქუსლიანი უპირატესობის ხელიდან გამშვები. „კოლხეთმა“ მეორე საფეხურზე აინაცვლა და ალბათ, ვერცხლის მოპოვებას ეცდება. ფოთში ქუთაისელებს კარგი მეკარე გამოცდილი მცველი და ერთი ღირიჟორი აკლდათ, თუნდაც ისეთი, დარასელია რომ არის. ასეთები რიონისპირელებს ადრე არ აკლდათ, მაგრამ მაშინ ტორპედოელებს პატრონი არ ჰყავდა და ისენიც ნახოდკებში და ლუჩებში გაიქცნენ საშოვარზე. ზოგი სულმთლად უგუნდოდ დარჩენილა, მაგრამ ჩამოსვლაზე სულაც არ ფიქრობს.

და მაინც, ყველაფრის მიუხედავად ქუთაისელებს კარგი გუნდი ჰყავთ. ამჟამინდელებს თუ სამიოდ ფეხბურთელსაც მიუმატებენ და ახლანდელ პრეზიდენტს, ქუთაისური ფეხბურთი რომ ფეხზე დააყენა, გული არ აუცრუვდება, ახალი სეზონიდან „ტორპედოს“ პრიზიორებში ვიხილავთ. ამჟამად, კი ვფიქრობ, ძალზე დაიგვიანეს.

# ნაინგლისევს

**დინამო 4:0 სიონი**

თბილისი. ეროვნული სტადიონი
**დინამო:** ზოიძე, კალაძე, ჯელაძე (დავითნიძე 65), დიდავა, ცქიტიშვილი, გემეზაშვილი, ყიზილაშვილი, გივი კვარაცხელია (შაშიაშვილი 56), ხომერიკი (კერძევაძე 61), ანჩაბაძე, დემეტრაძე
**სიონი:** ჩლაიძე, ჩომახიძე (ა. ქანტურია 75), ყაველაშვილი, ყიფშიძე, შაკიაშვილი, მ. სამხარაძე, ხოსროშვილი, ტარტარაშვილი, ჯაფარიძე (მეფარიშვილი 61), ჯაგიდისი, მოსეშვილი (ვ. სამხარაძე 61)
1:0 დემეტრაძე (31 3), 2:0 ცქიტიშვილი (55), 3:0 ყიზილაშვილი (58), 4:0 კერძევაძე (65)
**მსაჯი:** ს. კახიანი (თბილისი)

**ვახტანგ ბზიკაძე**



ხომერიკი ყაველაშვილზე და შაკიაშვილზე მაღლა

ნაინგლისევმა ყიფიანმა ბექემისგან გვემული მაჭავარიანი და ალბიონელებთან ყბაგაბზარული კიკნაძე მოისაკლისა. ნაკრების მწვრთნელს უმაჭავარიანობა ცქიტიშვილმა არ აგრძნობინა, რადგან ლიბეროობას უკვე მერამდენედ წარმატებით გაართვა თავი. აი, უკიკნაძეობა კი „დინამოს“ მართლაც დაეტყო, რადგან კვარაცხელიამ მისი სრულფასოვნად შეცვლა ვერ შეძლო. ეს იქნებ იმის ბრალიც იყოს, გივი კვარაცხელიას, როგორც საყრდენს, მძიმე სამუშაო რომ ევალა. მას მინდვრის ცენტრში მეტოქისთვის ბურთის ართმევა და პასებით ანჩაბაძის მომარაგება ევალებოდა. „სიონთან“ მატჩში ეს თითქოს არც უნდა ყოფილიყო ძნელი, მაგრამ ბოლო დროს მოძლიერებული და საკმაოდ გარდაქმნილი ანჩაბაძე ვისაც უნახავს, დამეთანხმება, ძნელია, მას საქმეში დიდად შეეხიდო, რადგან დახმარებას თითქმის არც საჭიროებს. რაც ჰქონდა, იმას ვინ წაართმევდა და, ანჩაბაძემ თავის არსენალს წელს ესაც შემატა: გაუმჯობესებული ფიზიკური გამძლეობა და თამაშისას გამოჩენილი მეტი ჟინი. ვერ დავიჩემებ, „დინამოს“ მატჩებს ხშირად ვესწრები-მეთქი, მაგრამ იმისთვის კი საკმაოდ, რომ ვთქვა: დაკარგული ბურთისთვის მებრძოლი და დაცვისკენ ჩაბრუნებული ანჩაბაძე ღმერთი, რჯული, წლევანდლამდე არ მინახავს. ასე იყო გუშინწინ. დინამოელთა ახალმოვლენილმა ლიდერმა ისე ითამაშა, რომ გივი კვარაცხელია თითქმის ერთ საათს თავის ჩრდილქვეშ ამყოფა. ეს ყიფიანმა ადრევე შენიშნა და დინამო 2-ელივე მცველი შაშიაშვილი დიდხანს ახურა, მინდორზე კი მისი გაშვება მხოლოდ მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც 2:0 გახდა. ამ ცვლილებით ცქიტომ კვარაცხელიას ადგილი დაიჭირა, თავისი დავალება კი შაშიაშვილს გადაულოცა.

ყიფიანს, სამაგიეროდ, გემეზაშვილმა გაუმართლა. ეს ბიჭი მესამე მატჩია, დინამოს ძირითადში თამაშობს და მარცხენა ფრთას ისე ლაღად აკონტროლებს, მტრისას მის მეტოქეთ. ამან „სიონთან“ იმდენი ფლანგური გარღვევა და ისეთი ზუსტი ჩაწოდებები გააკეთა, ბევრ გამოცდილს შეშურდებოდა. გამეზაშვილს მხარი დიდავამაც აუბა. ინგლისში საიმედოდ ნათამაშევ მატჩს ესაც ბუნებრივად წააბა და თავის ფრთაზე ვაგლახად არავინ გააჭაჭანა. ეგ კი არა, შეტევაშიც ხშირად ერთვებოდა.

სტუმარზე რა ითქმის? კარგა ხანს გაძლო. პირველი ნახევარი საათი უშიშრად, ჟინიანად ითამაშა და ნულოვანი ფრე შეინარჩუნა, მაგრამ ერთ მომენტში ხელოვნური თამაშგარე ხეირიანად რომ ვერ შეასრულა, დაისაჯა და თამაშის ბედიც გადაიწყვიტა.

გოლებზე არას ვიტყვი. უმეტესი მეორე ტაიმში გავიდა და პირდაპირი ტელერეპორტაჟით ბევრი იხილავდა. პირველ გოლზე კი შევჩერდები. პენალტი მერამდენედ ჩლაიძის კი არა, უკვე თავის სტილში დაარტყა დემეტრაძემ. მანამდე კი ჩლაიძის ცოდვამ დამწვა. მან ყიზილაშვილის წაქცევისას ბურთზეც ითამაშა და ალბათ ამიტომ იყო, მსაჯს შეილს ეჟიცებოდა, პენალტი არ იყოო...

# 12 წუთი საათის წილ

**მერანი 4:1 ივერია**

თბილისი. სტადიონი „სინათლე“
**მერანი:** დოლიძე, ივანიშვილი (ლ. ამბიძე 70), დანელია (ქველაძე 40), გოგიტაძე, კაკუბავა, გელა ქორიძე, ბ. კვარაცხელია, ჯიშკარიანი (დავითაშვილი 46), ბ. ამბიძე, გოდერძიშვილი, გაბისონია
**ივერია:** აბაშიძე, ნეკერაშვილი, შ. ლაცაბიძე, გურამ ლომიძე (ჩადუნელი 46), ზ. ლაცაბიძე, ხარაზიშვილი (ვეშაპიძე 69), ტყემალაძე, ჭაჭუა, კალმახელიძე, ნივწივაძე, თორია
1:0 კვარაცხელია (62), 2:0 დავითაშვილი (69), 3:0 გოდერძიშვილი (70), 4:0 გაბისონია (74), 4:1 ნივწივაძე (75)
**გაფრთხილება:** ზ. ლაცაბიძე, ჭაჭუა
**მსაჯი:** მ. კობიაშვილი (დუშეთი)

**კობა ინასარიძე**

ხაშურელებმა, ეტყობა, იგრძნეს, მთლად კარგად რომ ვერ აქვთ საქმე და, ავჭალაში „მერანს“ ისეთი ბრძოლა გაუმართეს, კაცი ვერ იფიქრებდა, ერთ-ერთი ლიდერისა და გამოკვეთილი აუტსაიდერის შეხვედრა თუ იყო. ვერ გეტყვით, ხაშურელ ფეხბურთელებს რა „მოუვიდათ“, მაგრამ ერთი რამ ფაქტი იყო — სტუმრები ისე მონდომებით და თავდაუზოგავად მოქმედებდნენ, ამ მხრივ აქამდე ნამდვილად რომ არ გამოირჩეოდნენ.

მოკლედ, უფრო ლოგიკური იქნებოდა, ანგარიშში სხვაობა ნაკლები ყოფილიყო, ვიდრე სამი ბურთი. თუმცა, ისაც აღსანიშნავია, რომ „მერანის“ უპირატესობა მეორე ტაიმში აშკარა იყო. „ივერიას“ დაღლა დაეტყო და ისე ვეღარ იბრძოდა, როგორც პირველში. რას იზამ, როცა თავს ზემოთ ძალა არ არის.

მატჩი მერანელთა უპირატესობით კი დაიწყო, მაგრამ რაიმე სახეირო ვერაფერი შექნეს. „ივერია“, ვერ ვიტყვით, გააზრებულად იცავდა თავსო, თუმცა მონდომებამ და ჟინიანმა თამაშმა თავისი ქნა. აქვე ისაცაა აღსანიშნი, რომ ხაშურელთა ნაცვლად სხვა, კლასით ოდნავ უკეთესი გუნდი მასპინძლებს ბევრჯერ დასჯიდა, რადგან შეტევებით გართული მასპინძლები ხშირად უხეშად ცდებოდნენ, მათი მეტოქე ნახევარმცველები კი ნორმალურ პასსაც ვერ ახერხებდნენ. პირველად მაყურებლები მაშინ გამოცოცხლდნენ, როცა ტრავმამოშუშებულმა ივანიშვილმა გონივრულად გადააწოდა კვარაცხელიას, მაგრამ ზაზა ლაცაბიძემ ხელით ითამაშა თუ ფეხით, კობიაშვილმა უკეთ შენიშნა და მერანელთა სამწუხაროდ პენალტი არ დანიშნა. შემდეგ, ტაიმის ბოლოს ქორიძე ურტყამდა აბაშიძის კარისკენ, მაგრამ, ისევე როგორც ბახვა ამბიძის ახლოდან თაურით დარტყმული, ესაც მიზანს ასცდა. ერთი სიტყვით, პირველ ტაიმში ანგარიში არ გახსნილა და მეორეშიც იგივეს ველოდით, თუმცა საეჭვო იყო, ბოლომდე თუ ეყოფოდათ ძალა სტუმრებს. შესვენების შემდეგ დავითაშვილის მოედანზე გამოსვლამ ყველაფერი დაალაგა. სწორედ მისი დამსახურებაა, სულ 12 წუთში „მერანმა“ ოთხი გოლი რომ შეაგდო. ჯერ იყო და, მის გარღვევას კუთხურიდან კაკუბავას ჩაწოდებული და კვარაცხელიას თაურით გატანილი გოლი მოჰყვა. მერე აბრეზამ შალვა ლაცაბიძეს არ აპატია უხეში შეცდომა და ანგარიში ორამდე გაზარდა. წუთის შემდეგ მისი პასი კაკუბავამ გააგრძელა და გოდერძიშვილს საგოლედ ჩაუწოდა, საბოლოოდ კი მისივე პასით გაბისონიამ იხეირა. მართალია, პირველი გოლის შემდეგ ხაშურელებს სამ-ოთხჯერ შეეძლოთ დოლიძის კართან ხიფათის შექმნა, მაგრამ, უკვე ვთქვით, რომ კლასი აკლდათ, თორემ ერთი, ნორმალური პასიღა იყო საჭირო და... თუმცა, ერთხელ მაინც გამოუვიდათ, როცა თორიამ ნივწივაძეს მიაწოდა და ამანაც ცხრიანში შეაგდო, მაგრამ ამ დროისთვის ყველაფერი გადაწყვეტილი გახლდათ — ოთხი გოლი უკვე გაშვებული ჰქონდათ.



ჰაჭუა გაბისონიას მოეკიდა

# ესაც ას ორმოცდამეათე...

**მარგვეთი 2:1 დილა**

ზესტაფონი. ცენტრალური სტადიონი
**მარგვეთი:** გვენცაძე (მერკვილიშვილი 90), დ. ქელიძე, გურიელიძე, უგულავა, ლონდაძე, კაციაშვილი, სულაკაძე, გენაძე, მოსიკაშვილი, უკლება, გუბელაძე (ლანჩავა 73, მ. მუმლაძე 87)
**დილა:** ვოლკოვი, წკრიალაშვილი, რ. ხაჭაპურიძე, ჯ. გაგნიძე, თარხნიშვილი, ხ. გაგნიძე, მარეხაშვილი, მჭედლიშვილი, ფხალაძე, კაიდარაშვილი (აკოფიანი 57), გ. გვაზავა
1:0 გენაძე (27), 2:0 უკლება (33), 2:1 ფხალაძე (57)
**გაფრთხილება:** გუბელაძე, თარხნიშვილი, გვაზავა, მჭედლიშვილი, კაციაშვილი
**მსაჯი:** თ. ლაცაბიძე (სურამი)

**ბესიკ ჯანგავაძე**
ზესტაფონიდან

ზესტაფონელები ამ მატჩში საბრძოლო შემადგენლობით გამოვიდნენ. თითოეულ მათგანს ჩვეული პოზიცია ეკავა და ძალ-ღონე არცერთს დაუშურებია, რათა საწადელი გამარჯვებისთვის მიეღწიათ. ჯაბანნი არც სტუმრები აღმოჩნდნენ, რომლებმაც მეტოქეს საკმაოდ ხისტი ფეხბურთი შესთავაზეს და ერთი შეხედვით უხეშობის ზღვარზე მისული მატჩი კარგი სანახაობა გამოდგა.

მანამდე კი მაყურებლებმა და ფეხბურთელებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს ხუთმაბათს ავტოკატასტროფაში დაღუპული „მარგვეთის“ პასუხისმგებელი მდივნის გურამ გაბრიჭიძის ხსოვნას.

პირველი ნახევარი მასპინძელთა სწრაფი შეტევებით დაიწყო, ბურთი მოედნის შუაგულში არ ჩერდებოდა. ზესტაფონელები ფლანგების გამოყენებით ცდილობდნენ მეტოქის კარის დალაშქვრას, თუმცა პირველად საფრთხის შექმნა მხოლოდ მე-17 წუთზე მოახერხეს, როდესაც გუბელაძე მარჯვენა ფრთიდან შეიჭრა საჯარიმოში და მისი ჩაწოდების შემდეგ თითქმის ცარიელი კარის წინ მდგომმა უგულავამ კარს გადააცილა ბურთი. ანგარიშის გახსნა მასპინძლებმა ათ წუთში შეძლეს: უკლებამ კუთხურიდან სახიფათოდ ჩააწოდა, ბურთი ჯამბულ გაგნიძემ გამოიტანა კარის ხაზიდან, მაგრამ ყველას იქვე მდგომმა გენაძემ დაასწრო და გაგნიძის მიერ განმეორებით მოგერიებულს ამჯერად კარში მიუჩინა ადგილი. ხუთი წუთის შემდეგ ალუდა გუბელაძემ გამოიჩინა თავი. მან ვარდნაში სუფთად აართვა ბურთი მეტოქის ერთ-ერთ მცველს, მშვენიერი დრიბლინგით ჩამოიტოვა კიდევ ორი მცველი და ზუსტი პასით მეკარესთან პირისპირ გაიყვანა მამუკა უკლება, რომელმაც შორეულ კუთხეში გაიტანა.

მიღწეულმა წარმატებამ, ეტყობა, მასპინძლები ოდნავ მოადუნა და 38-ე წუთზე ფხალაძემ ისარგებლა მათი მცველების უყურადღებობით, თავისუფლად შეიჭრა საჯარიმოში და ზუსტი დარტყმით სხვაობა შეამცირა.

მეორე ნახევარში თამაშის ტემპი კვლავინდებურად მაღალი იყო, მაგრამ ამჯერად უპირატესობა სტუმრებმა იგდეს ხელთ, თუმცა ისინი ერთადერთხელ დაემუქრნენ მეტოქის კარს რეალურად, როცა აკოფიანმა თაური კარს გადააცილა. გორელები საკმაოდ ერთფეროვნად უტევდნენ მეტოქეს და ზესტაფონელ მცველთა ზუსტი თამაშის გამო „მარგვეთს“ 150-ე მატჩში ხასიათი ვერ გაუფუჭეს.



# ჩამოვა იტალია და ვნახოთ...

...თუ 29 აპრილს ინგლისში ის ფეხბურთელებიც მეყოლება, რომლებსაც მოვიწვევ, მაშინ ჩათვალეთ, რომ ძალებს არ დავზოგავთ და მოსაგებად ვითამაშებთ. ჩემი აზრით, დღევანდელი ახალგაზრდული ნაკრები ძლიერია, მას საკმაო პოტენცია აქვს, თავისუფლად შეუძლია გაუმკლავდეს იტალიის და ინგლისის ნაკრებებს. ყველანაირად ვეცდებით ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებას. შანსები ერთი-ორად გაგვეზრდება, თუ ინგლისში გავიმარჯვებთ. ჩვენს ჯგუფში ისეთი გუნდებია, ერთმანეთში თამაშისას აუცილებლად დაკარგავენ ქულებს — ცესკასთან ბათუმური მატჩის შემდეგ განაცხადა ვლადიმერ გუცაევმა. ახალგაზრდული ნაკრების მთავრი მწვრთნელის ოპტიმიზმი იმთავითვე სასიკეთოდ გვენიშნა და ინგლისელებთან შეხვედრასაც იმედით ველოდით. იქნებ სწორედ „ჩარლტონ ატლეტიკის“ სტადიონზე გაეტეხათ სამწლიანი ნავსი და თბილისს თუნდაც ქულა მოპოვებულნი დაბრუნებულიყვნენ. ისე აგიხდათ ყველაფერი, როგორც ჩვენი ნავარაუდევი ახდა, მაშინდელ ინტერვიუში გუცაევმა ისაც თქვა, ინგლისელებს მაქსიმალურად მჭიდროდ უნდა ვეთამაშოთ, რათა თავისუფლად მოქმედების საშუალება არ მივცეთო. მოკლედ, არმიელებთან თამაში გუცაევს საინგლისო რეპეტიციად კი უნდოდა გამოეყენებინა, მაგრამ ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელის არყოფნის გამო ეს ვერ მოახერხა და ინგლისთან თამაშისთვის, მოსამზადებლად 4 დღე უნდა ეკმარა.

— თუ ინგლისელი ახალგაზრდების ძალას გავითვალისწინებთ — შედეგით კმაყოფილი ვარ. ბიჭების მიმართ სასაყვედურო არაფერი მაქვს. ჩემი დავალება ფრიადზე შეასრულეს და ცოტა იღბალიც რომ გვქონოდა, გამარჯვებაც შეიძლებოდა. ჩემთვის, როგორც მწვრთნელისთვის, ორმაგად გასახარია ის ფაქტი, რომ ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები უკვე ჩამოყალიბებულ გუნდს დაემსგავსა და არა რაღაც ბანდას, რომელიც მხოლოდ ფორმალურად თამაშობს, სულ ბურთის მოგერიებას ცდილობს და საკუთარი კარის უსაფრთხოების გარდა სხვა არაფერზე ფიქრობს. ვინც ჩვენი თამაში ნახა, დამერწმუნება, რომ ნაღდი ფეხბურთი იყო. მატჩის შემდეგ ფეხბურთელებიც კმაყოფილები იყვნენ. გაუხარდათ, არჩეულმა სათამაშო სტრატეგიამ შედეგი რომ გამოიღო. თანაც თავადვე დარწმუნდნენ საკუთარ ძალებში და იმასაც მიხვდნენ, მათი თამაში დღითიდღე სტაბილური რომ ხდება.

**— ბოლო დროს ბევრი ამბობს, გუცაევი ძალისმიერი ფეხბურთის მიმდევარიაო.**

— გააჩნია, ვის როგორ ესმის ძალისმიერი ფეხბურთი. პირადად მე ერთ რამეში ვარ დარწმუნებული: თუ მწვრთნელი მხოლოდ ფეხბურთელთა ტექნიკურ ოსტატობაზეა დაყრდნობილი და ათლეტიზმს, ფიზიკურ მომზადებას, თუნდაც სხვა საბრძოლო თვისებებს ნაკლებ ყურადღებას აქცევს, მაშინ გამორიცხულია, გუნდმა მაღალ დონეზე ითამაშოს. ხაზსს ვუსვამ — მაღალ დონეზე თამაშს, თორემ საქართველომ სომხეთს, აზერბაიჯანს, უზბეკეთს და სხვა შედარებით სუსტ გუნდებს შეიძლება მხოლოდ ტექნიკისა და სათამაშო იმპროვიზაციის ხარჯზე მოუგოს. ინგლისთან, იტალიასთან და პოლონეთთან მოგება მხოლოდ ამ თვისებების გამოყენებით, ფაქტობრივად, გამორიცხულია. შანსი არ ექნება გუნდს, რაგინდ კარგად უნდა ითამაშოს, თუ ფიზიკურად სათანადოდ არაა მომზადებული. მოკლედ, დღევანდელ ფეხბურთში ისეთი ტენდენციაა, რომ თუ გუნდში ათლეტურად მომზადებული ფეხბურთელები არ გყავს, შორს ვერ წახვალ. 90 წუთის ნაცვლად ფეხბურთელმა ნახევარი საათი რომ ირბინოს და იბრძოლოს, რომელ შედეგზე შეიძლება ლაპარაკი? ძალისმიერი ფეხბურთი ერთ მოთამაშეზე დამოკიდებული ვერ იქნება. თუ მცველს, რაოდენ კარგადაც იყოს იგი მომზადებული, მისი თანაგუნდელი არ შეეშველა, თუ დაზღვევაზე არავინ ითამაშა, ერთი კაცის მოტყუებას არაფერი უნდა. ყოველივეს იმიტომ ვამბობ, რომ დღევანდელ ფეხბურთში შედეგი უპირველესად კოლექტიური თამაშის წყალობით მიიღწევა. ძალის, ტექნიკის, ჭკუისა და ტაქტიკური მომზადების სინთეზი თუ არ მოხდება, დარწმუნებული ვარ, არაფერი გამოვა.

**— ინგლისთანაც ასეთი სტრატეგიით ითამაშეთ. აქცენტი ხისტ თამაშზე გააკეთეთ და გაგიმართლათ. კი მაგრამ, ნაკრების ძირითად ბირთვს ხომ საქართველოს ჩემპიონატის მონაწილე ფეხბურთელები შეადგენენ. ამათ კარგ ფიზიკურ მომზადებაში დარწმუნებული იყავით?**

— ალბათ, უკვე დროა ჩვენი ფეხბურთელებიც ნორმალურად იყვნენ ამ მხრივ მომზადებულნი. რაც უნდა იყოს, — ჩემპიონატში მონაწილეობენ, ხშირად თამაშობენ და ვარჯიშითაც საკმაოდ ბევრს ვარჯიშობენ. საერთოდ, ვფიქრობ, ფეხბურთელი მაშინ დაიღლება, როცა უთავბოლოდ დარბის. ისევ ზემოთთქმულს დავუბრუნდები. თუ კოლექტიურად არ ითამაშე, მაშინ მართლაც დაიღლები და არაფრის თავი არ გექნება. როცა შენიანს მოატყუებენ, აუცილებელია, დაზღვევაზე ითამაშო, ამით შენს ძალებსაც დაზოგავ და თანაგუნდელიც შედარებით ნაკლებს ირბენს. რაც შეეხება კონკრეტულად ლონდონის მატჩს, გეტყვით, რომ მართლაც დარწმუნებული ვიყავი ბიჭების შესაძლებლობებში. შარშან, ნოემბერშიც ასევე ვეთამაშეთ ინგლისელებს და, არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ პირწმინდად დავჩაგრეთ ისინი. შემდეგ ცესკასთანაც იგივე გავიმეორეთ და არც მათ დავუდეთ ტოლი არაფერში.

**— ინგლისელებთან თამაშისას რომელ რგოლს გამოყოფდით?**

— დაცვას. ფაქტობრივად, მთელი თამაში უშეცდომოდ ჩაატარეს. ამაზე ანგარიშიც მეტყველებს. ნახევარმცველებითაც კმაყოფილი ვარ, თანაც ამ რგოლში ორი დებიუტანტი — გოგობერიშვილი და ასათიანი თამაშობდნენ. ძალიან ბევრს მოძრაობდნენ, დაცვას ხომ ეხმარებოდნენ და ის მომენტებიც, რომლებიც მასპინძელთა კართან შევქმენით, ძირითადად სწორედ შუა ხაზის ფეხბურთელთა დამსახურებაა. იაშვილი და ფოცხვერიაც ხეირიანად ირჯებოდნენ. მოკლედ, სამივე რგოლმა კარგად ითამაშა, მაგრამ, რადგან გოლი არ გაგვიშვია, მაინც დაცვას გამოვყოფ.

**— ფოცხვერიაზე განსაკუთრებით მინდა გკითხოთ...**

— უდაოდ პერსპექტიული ფეხბურთელია, მაგრამ ცოტა სერიოზულად მართებს საქმისადმი მიდგომა. მიშა უკრაინაში გაიზარდა და ბავშვობიდან უკრაინულ ფეხბურთს თამაშობდა. მისთვის უცხო არ არის ბრძოლა, ქინიანად თამაში. ფიზიკური აღნაგობაც ხელს უწყობს და ისეთი ჯანი აქვს, ბევრ თავდამსხმელს შეშურდება. თანაც, ქართველია და ტექნიკაც თანდაყოლილი აქვს და ჭკუაც საკმარისი დიდი ფეხბურთის სათამაშოდ. თუმცა, ინგლისში ის ფოცხვერია არ იყო, რომელსაც ველოდი. ბათუმში არმიელებთან შეხვედრისას უკეთესად გამოიყურებოდა. ყოველ შემთხვევაში, დარწმუნებული ვარ, ფოცხვერიას თავისი შესაძლებლობების 30 პროცენტი მაინც რომ გამოევლინა, ინგლისში მოვიგებდით. ერთი სიტყვით, კარგი ფეხბურთელია და ერთ-ორ წელიწადში საქართველოს უძლიერესი ფორვარდი ეყოლება.

**— სხვა ლეგიონერები როგორ გამოიყურებოდნენ?**

— მათ აშკარად არგო უცხოეთში თამაშმა. სილაგაძეს ძალიან მოუმატებია. მასპინძელთა ყველაზე ძლიერ ფეხბურთელს ჰესკის პერსონალურად მეურვეობდა. ჰესკის დღე-დღეზე პირველ ნაკრებში მიწვევა ელის, სილაგაძემ კი პრაქტიკულად თამაშიდან გამოთიშა. ტრავმაც მიაღებინა და იმდენი ჰქნა, ტეილორს გამოსაცვლელი გაუხადა. საჯაიაც მშვენივრად გამოიყურებოდა, მაგრამ ეტყობოდა, სათამაშო პრაქტიკა რომ აკლია. საქმე ისაა, რომ თავის კლუბში გაჩერება აღარ სურს. რეგიონალური ლიგის „აუგსბურგში“ მისი თამაში არ შეიძლება. კონტრაქტიც უმთავრდება და ალბათ ამის გამო მწვრთნელი აღარ ათამაშებს. არადა, ნიჭიერი ნახევარმცველია, ინგლისელებთან ძალიან ბევრი კი იმუშავა, მაგრამ გადაცემები ხშირად უზუსტო გამოსდიოდა. მას პირადად ვესაუბრე და ყველანაირად ვეცდები, სადმე კარგ გუნდში გადავიდეს. უკეთესი იქნება საფრანგეთის, პორტუგალიის, ბელგიის და სხვა, ისეთ ქვეყნების ჩემპიონატში ითამაშოს, სადაც შედარებით ტექნიკურ ფეხბურთს ანიჭებენ უპირატესობას.

იაშვილსაც არა უშავდა. გერმანიაში თამაში აშკარად მოუხდა. სხვათა შორის, ინგლისში „ლიუბეკის“ ორივე მწვრთნელი იყო ჩამოსული და პირად საუბარში მითხრეს, ძალიან კმაყოფილები ვართო. ისაც თქვეს, ბოლო ტურში იაშვილის არყოფნა აშკარად დაგვეტყოო.

**— ინგლისური ფრეს შემდეგ, კიდევ გაქვთ ჯგუფში გამარჯვების იმედი?**

— როგორ არა. მითუმეტეს, რომ შანსები ერთი-ორად მას შემდეგ გაიზარდა, რაც იტალიამ პოლონეთთან ფრედ, 1:1 ითამაშა. ახლა ზედიზედ ორი მატჩი გველის მოლდოვასთან და პოლონეთთან. თუ ორივეში გავიმარჯვებთ, მაშინ გამოჩნდება, რისი იმედიც მაქვს. მთავარია, დღევანდელი შემადგენლობა შევინარჩუნოთ. ნურავინ იფიქრებს, ამათ იტალიური ფიასკოს შემდეგ რისი იმედილა უნდა ჰქონდეთო. ერთი მატჩი არაფერზე არ მეტყველებს. ჩამოვა იტალია და მაშინ ვნახოთ...

**ძოგა ინასარიძე**

# რევაზ გაგუა: მოხდა ის, რისიც ყველაზე მეტად მეშინოდა

30 აპრილი ქართული ფეხბურთისთვის მეტად უიღბლო გამოდგა. ჯერ იყო და, ეროვნულმა გუნდმა ინგლისთან მარცხით საფრანგეთში მოხვედრის თეორიული შანსიც დაკარგა, გერმანიაში ევროპის ჩემპიონატის ჯგუფურ ტურნირში კი 16 წლამდელებმა მეორე შეხვედრაშიც წააგეს იტალიასთან, ამას ბელგიასთან მარცხიც დაერთო და მათზე დამყარებული იმედებიც გადაგვეწურა. ნაკრების მთავარ მწვრთნელს რევაზ გაგუას წაგების მიზეზებზე ვესაუბრეთ.

— ჯერ დროც არ მქონდა მარცხის გასაანალიზებლად, ეს უცაბედად არ ხდება. თუმცა, მთავარი მაინც ჩვენი ბიჭების არასაკმარისი ფიზიკური მომზადება იყო. წასვლამდე სხვაგვარად მეგონა. დასტურად ის ფაქტიც იკმარებს, რომ უნგრეთსა და იტალიას პირველ ტაიმში ვუგებდით. მეორე ტაიმში გოლის გაშვებას გუნდში არეულობა მოჰყვა, მოთამაშენი ფსიქოლოგიურადაც ვერ მოვამზადე საჭირო დონეზე. ისე, ხომ იცით, ზოგი ჭირი მარგებელიაო, მეც ასე მომივიდა, დავინახე, რომ ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა და ნაკლიც უხვად გვაქვს. ამას ბიჭებიც აღიარებენ. ჩვენ ჯერ კიდევ შორს ვართ ევროპული გრანდებისგან.

**— თუ გავიხსენებთ, ჯერ კიდევ საკვალიფიკაციო ტურნირში საბერძნეთის ნაკრებთან თამაში უნგრეთთან და იტალიასთან შეხვედრების მსგავსად წარიმართა. პირველ ტაიმში 3:0 იყო და შემდეგ კინაღამ დავმარცხდით. ესე იგი ფინალამდე თქვენ ფსიქოლოგიურ პრობლემას შეეჯახეთ, რომელიც გერმანიაში უკვე მწვავედ გამოჩნდა. ხომ არ თვლით, რომ ამ პრობლემას საჭირო ყურადღება მოაკელით?**

— ვერ დაგეთანხმებით. ფსიქოლოგიური და ფიზიკური სისუსტის არსებობას ადრეც ვამჩნევდი, შეკრებებზე მის გამოსწორებას დიდ დროსაც ვუთმობდით. რაც მე ბავშვები მოსალონიერებლად ურეკის ქვიშაში ვარბენინე, ვფიქრობდი, საკმარისი უნდა ყოფილიყო, მაგრამ გერმანიაში რეალური სურათი დავინახეთ. ბავშვებს მთლიანობაში ჯანი და სიმაღლე არ ეყოთ, ჩვენში ყველაზე მაღლები ევროპელ ბავშვებთან ერთობ ტანმორჩილებად გამოიყურებოდნენ. წარმოიდგინეთ, 17-დან 12 გოლი თავით გაგვიტანეს. თანაც, არც ისეთი ტექნიკურები ვყოფილვართ, როგორც გვეგონა. წაგებას არავის ვაბრალებ, მიზეზი ისევ ჩემს მუშაობაშია საძიებელი. შედეგმა მაჩვენა, რომ შეცდომები დამიშვია.

**— კონკრეტულად რას გულისხმობთ?**

— მოთამაშეთა შერჩევაში შევცდი, შეიძლება ბოლომდე ვერ გავითვალისწინე მათი მდგომარეობა, ბევრმა ნერვულ სტრესს ვერ გაუძლო, ზოგიერთი შოკიდან ვერ გამოვიყვანე. ხომ გეუბნებით, გოლის გაშვებას მყისიერად არეულობა მოჰყვებოდა. მაგრამ, რაც მთავარია, ჯიგრიანად არ ითამაშეს. მონდომებაც აკლდათ, რათა ბრძოლაში მეტოქისთვის გოჯი არ დაეთმოთ.

**— უცნაურია — თავდასხმის შედეგიანი თამაშის ფონზე დაცვას ისე უნიათოდ როგორ უნდა ეთამაშა, რომ შეხვედრაში 5-ზე ნაკლები გოლი არ გაგვეშვა?**

— უცნაური სხვა რამ გახლავთ. რამდენი საკონტროლო მატჩი ჩავატარეთ და დაცვისა და ნახევარდაცვის სისუსტე არ იგრძნობოდა. მაშ რა არის წაგების მიზეზი? ბავშვებს საერთაშორისო შეხვედრების გამოცდილება აკლიათ. ნაკრებს აქ ჩატარებული ამხანაგურები არ ყოფნის. ჩვენ რომ უცხოურ ტურნირებში გვეთამაშა, ნაკლოვანებებს ადრევე შევნიშნავდით და გამოვასწორებდით.

**— ასეთი, წესით მალაიზიის ტურნირი უნდა ყოფილიყო, სადაც არ გამგზავრებულხართ. რა იყო წაუსვლელობის მიზეზი?**

— ამაში, ვფიქრობ, არც შევმცდარვართ. ჯერ მარტო ფრენას დღენახევარი მოვუნდებოდით. დროსა და კლიმატში ორჯერ — იქით-აქეთ მოგვიხდებოდა გადაწყობა. ეს კი გაუმართლებელი იქნებოდა. ევროპის რომელიმე ქვეყანაში რომ ჩატარებულიყო მსგავსი ტურნირი, დიდი სიამოვნებით გავემგზავრებოდით, მაგრამ არავის მივუწვევივართ და რა გვეღონა. მოკლედ, ჩემი აზრით, მალაიზიაში წაუსვლელობა წაგების მიზეზი ნაღდად არ ყოფილა.

**— პირველი შეკრების შემდეგ თქვენ აღნიშნეთ — შინ გაშვებულები ფორმიდან ვარდებოდნენო...**

— მართალია, შეკრებიდან შეკრებამდე დიდი პაუზები გვქონდა. მოვამზადებდი გუნდს, მოთამაშეებს შინ გავუშვებდი და ახალ შეკრებაზე მუშაობის ახლიდან დაწყება მიხდებოდა. არ ვიცი, რას აკეთებდნენ მათი მწვრთნელები, ის კი ცხადია, რომ ბავშვთა ფეხბურთში მწვრთნელთა კადრებს განახლება სჭირდება. ჩვენ თუ ბავშვთა ფეხბურთი არ გავაჯანსაღეთ და დიდი ყურადღება არ მივაქციეთ, წარმატებაზე ვერც ვიფიქრებთ.

**— ეს უფრო გლობალური საკითხია, რასაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში გვერდს ავუქცევ. სჯობს, ფინალს დავუბრუნდეთ. ბრძანეთ, მოთამაშენი ფსიქოლოგიურად გატყდნენ. ასეთ შემთხვევაში მწვრთნელზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.**

— უნგრელებთან შესვენებაზე ბიჭები გავაფრთხილე, საბერძნეთის შეცდომები არ გაემეორებინათ. ჯერ მოგებულები არ ვართ და არ მოდუნდეთ-მეთქი. სამწუხაროდ, მაინც ის მოხდა, რისიც მეშინოდა.

**— ამ დროს სიფრთხილის გამო დაცვითი ტაქტიკა ხომ არ აირჩიეთ?**

— ჩვენ ისედაც დაცვითი ტაქტიკით 4-5-1-ით ვთამაშობდით და მის შეცვლას აზრი არ ჰქონდა. მით უფრო, რომ ვიგებდით. უნგრელთა მწვრთნელი გაოცებული ჩანდა, პირველ ტაიმის შემდეგ რა მოგივიდათ, ვერ გავიგეო. დაცვაში ორი ელემენტარული შეცდომის გამო გოლები გავუშვით და ბიჭებიც გატყდნენ. გონზე რომ მოვიდნენ, უკვე გვიანი იყო — თამაშის შემოსატრიალებლად დრო აღარ გვეყო.

**— ერთადერთ ლეგიონერს, ლაშა ჯაკობიას, წაგების მიუხედავად, მაინც თავი გამოუჩენია. ჩანს „სტანდარდში“ მივლინება წაადგა...**

— ჯაკობიამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა თავისი სიძლიერე. მან ტურნირი ძალიან ძლიერად ჩაატარა და ყველა შეხვედრაში საუკეთესო იყო. მასთან ერთად გველესიანს აღვნიშნავ. მათ არც არავისი შეშინებიათ და წარმატების მისაღწევად თავიც არ დაუზოგავთ. ჯაკობიამ სამი გოლი გაიტანა, გველესიანმა კი — ორი. ორიც — დეკანოსიძემ. მათ სწორედ ის აღმოაჩნდათ, რაც სხვებს აკლდათ — ფიზიკური მომზადება, ჯანი, მოძრაობა...

მე არ მინახავს, რომ ერთი წლის მანძილზე ბავშვი ჯაკობიასნაირად გაზრდილიყოს. აი, რას ნიშნავს, როდესაც მოთამაშე ნორმალურ პირობებში ემზადება.

**— მიუხედავად მარცხისა, რომელიმე მოთამაშე უცხოელმა სელექციონერებმა ხომ არ შენიშნეს?**

— სხვათა შორის, ჯაკობიას „აიაქსის“ მწვრთნელი დაელაპარაკა, გველესიანით და კიდევ რამდენიმე ბავშვითაც დაინტერესდნენ, თუმცა, კონკრეტული წინადადება არ ყოფილა. ასეთი მიწვევის შესახებ ოღონდ გავიგო, მხოლოდ კარგ გუნდში, ბავშვებს მე თვითონ დავეხმარები. მათ გასაზრდელად საქართველოში ჯერ პირობები არ გაგვაჩნია და ისინი ჩვენთან ბევრს ვეღარ შეიძენენ. ფინალმა ბევრი რამ დამანახა — ჩვენ, თურმე, ერთ ადგილზე გავყინულვართ. ქართველებს, უცებ გვსურს მწვერვალების დაპყრობა, მეც ასე ვარ — აბა, რომელი ჯარისკაცი არ ფიქრობს გენერლობაზე, მაგრამ რეალობაც უნდა გავითვალისწინოთ. ჩვენი პირობების მქონენი ინგლისისა და იტალიის დამარცხებაზე ვოცნებობთ. ვერ მოვუგებთ!

**— ამ სიტყვების თქვენგან მოსმენა უცნაურია — ჩვენნაირი პირობებით ხომ, წესით, ფინალშიც ვერ უნდა გავსულიყავით?**

— საქმე შეძლებისდაგვარად უნდა ვაკეთოთ. ფინალში გასვლა და ევროპის ჩემპიონობა სხვადასხვა საქმეა. ამას რომ ვამბობ, სულაც არ ვგულისხმობ რომ გულხელდაკრეფილი დაველოდოთ, როდის შეგვიქმნიან პირობებს. მაგრამ, ფაქტია, რომ ამ მხრივ არსებული პრობლემები ძლიერ გვაბრკოლებს. თქვენ იცით, ზოგიერთ ბავშვს ოჯახში ნორმალურად ვერ კვებავენ?! ასეთი, თითქოს ცხოვრებისეული წვრილმანები, ბოლოს დიდ თავსატეხად გვექცევა. თანაც მე სულ ერთი წელი ვხელმძღვანელობ ნაკრებს, რაც გუნდის ჩამოსაყალიბებლად არასაკმარისია. უნგრელთა მწვრთნელმა მითხრა, ნაკრებს ხუთი წელი ვაყალიბებდითო! წარმოგიდგენიათ, ხუთი წელი მუშაობდნენ ამ ბავშვებთან! ბელგიელები კი ექვსი წელი ეჩვეოდნენ ერთმანეთს. თანაც, უნგრელები თითქმის ყოველ კვირას სხვადასხვა ქვეყნის ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრებს ატარებენ. ძლიერები იქნებიან, აბა, რა.

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ საბერძნეთში როგორღა მოვახერხეთ ქვეჯგუფში გამარჯვება?**

— მე თვითონ მიჭირს უკვე ამის გაგება. ეტყობა, ბიჭებმა უფრო შეძლეს მობილიზება. თანაც ფინალს მაინც სხვა დაძაბულობა ახლავს. გუნდის ხელმძღვანელები და გერმანიაში ჩვენი დელეგაციის წევრები ჩივაძე და შენგელია ბავშვებს ვამხნევებდით, მაგრამ ისინი სტრესიდან მაინც ვერ გამოვიყვანეთ. თანაც, ფინალში რომ უფრო ძლიერი გუნდები ხვდებიან, ვიდრე ქვეჯგუფში, თქმა არ უნდა.

**— მალე პორტუგალიაში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ დღეებში მიიღებთ მონაწილეობას. გერმანიაში წასულთაგან ნაკრებში რამდენი დარჩება?**

— მხოლოდ ოთხი კაცი — ჯაკობიას თავკაცობით. დანარჩენებს უკვე ასაკი „დაამძიმებთ“. თუმცა, დავრჩები თუ არა ნაკრებში, არ ვიცი. ერთი კია, გერმანიიდან ჩამოსულებს აეროპორტში ნოდარ ახალკაცი დაგვხვდა, არ ველოდით, ისეთი თბილი შეხვედრა მოგვიწყო. ამან გამამხნევა, ეს ჩემთვის დიდი მოულოდნელობა იყო.

...ერთხელაც ვიტყვი: საძირკვლის გარეშე სახლს ვერ ავაშენებთ. ბავშვთა ფეხბურთი მძიმე მდგომარეობაშია. ბავშვებს სათანადოდ ვერ ამზადებენ. გერმანიის შემდეგ რამდენიმე მოთამაშე ჩემთან მოვიდა და მთხოვა, თქვენს გუნდში, „ნორჩ დინამოელში“ გვავარჯიშეთო. ჯერ უარზე ვიყავი, ვიცი, გუნდები არ გამოუშვებენ, მაგრამ უკან დაბრუნება არაფრისდიდებით არ სურთ. რა ვქნა, ხელი ვკრა? ისინი ჩვენთან იმიტომ მოდიან, რომ თავ-თავიანთ სკოლებში საჭირო დონეზე ვერ ემზადებიან და ვერც ამზადებენ. ეს არის სწორედ ის დიდი პრობლემა, რომლის ნაყოფიც გერმანიაში ვიწვნიეთ.

**მერაბ მამულაშვილი**

# ჯერ ადრეა

## იტალია

XXIX ტური

### იუვენტუსი 0:0 სამპდორია

42 231 მაყურებელი

იუვენტუსი: პერუცი, პორინი (ჯულიანო 11), ფერარა, მონტერო, დიმაში, დი ლივიო (ლომბარდო 58), ზიდანი, დეშამპი, იუგოვიჩი, ბოაშიჩი (ვიერი 63), ამორუზო

სამპდორია: ფერონი, ბალერი, დიენგი, მიხაილოვიჩი, პეზარეზი, ვერონი (სალსანო 71), კარემბუ, ფრანჩესკეტი, ლაილე, მონტელა (კარპარელი 77), მანჩინი (ჯაკოპინო 92)

გაფრთხილება: დი ლივიო, მონტერო, ვიერი

### რეჯანა 0:3 კალიარი

8 000 მაყურებელი

0:1 მუცი (10), 0:2 ტოვალიერი (14), 0:3 ონილი (35)

რეჯანა: ბალოტა, კაინი (გრიუნი 76), შატცი, გალი, გროსი, მაცოლა, ლონგი, ტონეტო, პარენტე (მინეტი 41), სიმუტენკოვი, ვეკიოლა (პაშეკუ 94)

კალიარი: სტერკელე, ბრეშანი, მინოტი, სკუგუჯია, ბეტარინი, მუცი, ტინკლერი, ლონსტრუპი (ბერეტა 80), ონილი (ტაკოლა 80), სილვა (კოცა 84), ტოვალიერი

გაფრთხილება: მუცი

### პიაჩენცა 1:1 ბოლონია

13 000 მაყურებელი

1:0 დი ფრანჩესკო (15), 1:1 ანდერსონი (85)

პიაჩენცა: ტაიბი, პოლონია, მ. კონტე, დელი კარი, ლუჩი, ტრამეცანი, დი ფრანჩესკო, ვალოტი (პარი 81), შიენძა, პიოვანი, ლუიზო (ტენტონი 72)

ბოლონია: ანტონიოლი, კარდონე, დე მარკი (სენო 25), მანგონე, პარამატი, პავონე (ნერვო 43), მაროკი, სკაპოლო, სკენარდი (კოლივანოვი 46), ანდერსონი, ფონტოლანი

გაფრთხილება: შიენძა, პიოვანი, მ. კონტე, სენო

### რომა 1:1 ლაციო

73 409 მაყურებელი

1:0 ბალბო (34), 1:1 პროტი (91)

რომა: ჩერვონე, პივოტო, პეტრუცი, ალდაირი, კანდელა, ტომაზი, დი ბიაჯო, ტერნი, სტატუტო, ტოტი (ბერნარდინი 82), ბალბო (დელვეკიო 72)

ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, გრანდონი, ფიში, ფავალი, ბუზო (რამბაუდი 66), ფუზერი, ნედვედი, კაზირაგი, სინიორი (პროტი 72)

გაფრთხილება: ჩერვონე, დი ბიაჯო, სტატუტო, დელვეკიო, კანდელა, ნეგრო, გრანდონი

გაძევება: ფავალი (77)

### უდინეზე 1:1 მილანი

30 000 მაყურებელი

1:0 ბირჰოფი (15), 1:1 მალდინი (71)

უდინეზე: კანიატო, ჟენიუ, კალორი, პიერინი (ბერტოტო 75), სერჯო (ა. ორლანდო 92), ჰელვეგი, გარგო, ნიკოლი, ამოროზო (ლოკატელი 55), ბირჰოფი, პოჯი

მილანი: ს. როსი, კოსტაკურტა, ვერხოვოდი (სიმონე 78), ბარეზი, მალდინი, ერანიო, ალბერტინი, დესაი, ბლომკვისტი (ბობანი 46), ვეა, ბაჯო

გაფრთხილება: კოსტაკურტა, დესაი, ვერხოვოდი

გაძევება: ნიკოლი (74)

### ვერონა 2:0 ნაპოლი

15 000 მაყურებელი

1:0 მანიერო (46), 2:0 დე ვიტისი (88)

ვერონა: გუარდალბენი, კავერძანი, სივილია, ფატორი, ვანოლი, ორლანდინი (კოლუჩი 68), ამეტრანო, ბაჩი (მანეტი 46), ფიჩადენტი, მანიერო, ძანინი (დე ვიტისი 86)

ნაპოლი: ტალიალატელა, კრასონი (ესპოზიტო 56), კოლონეზე, აიალა, ბალდინი, მილანეზე, ალტომარე (ლონგო 75), კრუზი, პეკია, კაჩა, ალიეტი (სკარლატო 83)

გაფრთხილება: კოლუჩი, ფატორი, სივილია, ბალდინი, კრუზი

### პერუჯა 1:1 ფიორენტინა

20 000 მაყურებელი

1:0 პიცი (88 პ), 1:1 რობიატი (90)

პერუჯა: ბუჩი, ტრავერსა, მატერაცი, დიჩარა, მიხალკოვიჩი, დი კიარა (კოტინი 66), გაუტიერი, გორეტი (რუდი 74), კრეკი, ნეგრი, რაპაიჩი (პიცი 79)

ფიორენტინა: ტოლდო, კარნაშალი, პადალინო, ამოროზო, პუშედუ, კოისი, რუი კოშტა (ბიჯიკა 82), სერენა (ბაინო 58), რობიატი, ბატისტუტა, ოლივეირა

გაფრთხილება: ბუჩი, კრეკი, პუშედუ, ოლივეირა, კარნაშალი

გაძევება: მატერაცი (24)

### ატალანტა 1:2 პარმა

20 000 მაყურებელი

1:0 ლენტინი (37), 1:1 კრესპო (50), 1:2 კიეზა (62)

ატალანტა: მიკილო, ფოლიო (რუსტიკო 52), მირკოვიჩი (მაგალანესი 73), კარერა, სოტილი, ბონაჩინა, სგრო, კარბონე (დ. მორფეო 52), გალო, ინძაგი, ლენტინი

პარმა: ბუფონი, ზე მარია, კანავარო, ტურამი, ბენარივო, ბრავო (სენსინი 46), კრიპა, ბროლინი, სტრადა, კიეზა (პინტონი 72), კრესპო (ს. ბარონე 92)

გაფრთხილება: ფოლიო, მირკოვიჩი, ბონაჩინა, ბრავო, კიეზა, კრიპა

### ინტერი 0:1 ვიჩენცა

მე-12 წუთზე იტალიის ნაკრების გოლკიპერმა ანჯელო პერუციმ გენუელი მცველის ემანუელე პეზარეზის სახიფათო თაური მოიგერია. პერუციმ სხვა ეპიზოდებშიც გამოიჩინა თავი და ამგვარად, „იუვენტუსმა“ შინ „სამპდორიასთან“ გოლი რომ არ გაუშვა, მნიშვნელოვანწილად მისი დამსახურებაა. თუმც არ გაუშვა, იტალიის პირველობის ლიდერმა ვერც გაიტანა. არადა საამისოდ სამი შესაძლებლობა ჰქონდა. უფრო სწორედ, შესაძლებლობა ორი იყო, მესამე კი გოლი გახლდათ, მაგრამ მსაჯებს ოფსაიდად მოეჩვენათ და არ ჩათვალეს. ტელევიზიამ 70-ე წუთზე დატრიალებული ეს ამბავი ბუნებრივია რამდენჯერმე გაიმეორა და თვალნათლივ გამოჩნდა, რომ კრისტიან ვიერის თაური გოლი წესების სრული დაცვით იყო შეგდებული, მაგრამ ამას მატჩის შედეგისთვის მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.



REUTERS ტელეფოტო

იუვენტუსი — სამპდორია. ტურინელი ზიდანის და გენუელი პეზარეზის ორთაბრძოლა

ორი ქულის დაკარგვით ტურინელებმა მდევარი, „პარმა“ მიიახლოვეს, რომელმაც გენუაში „ატალანტას“ 2:2 მოუგო. „პარმას“ დაშავებულ მოთამაშეთა ჯგუფი აკლდა, მაგრამ მიუხედავად ამისა 35-ე წუთზე ლენტინის მიერ მათ კარში გატანილი გოლის გაქვითვა, მოგვიანებით კი გამარჯვებაც შეძლო. ლენტინის გოლი დიდი პროტესტის საგანი გახდა, რადგან თანამსაჯს თამაშგარედ მიაჩნდა, ალამი ჰქონდა აღმართული, მაგრამ მთავარმა არბიტრმა კოლეგას ყური არ ათხოვა და ჩათვალა. კამათმა რომ არ გაჭრა კარლო ანჩელოტის გუნდმა სხვა ხერხს მიმართა, ყურადღება მოიკრიბა და პირველი ნახევრის ბოლოს, მსაჯის მიერ დამატებულ წამებზე ანგარიში გაათანაბრა. გოლი არგენტინელმა ერნან კრესპომ გაიტანა.

მეორე ტაიმში „სკუადრა ატურას“ ფორვარდმა ენრიკო კიეზამ მოუსვენარი ნესტორ სენსინის ჩინებულ პასს ჩინებულივე გაგრძელება მოუძებნა — მახვილი კუთხიდან ძლიერი დარტყმით თავისიანებს სკუდეტოსკენ სამქულიანი ნაბიჯი გადაადგმევინა.

— სიმართლე რომ გითხრათ ჩვენ „იუვენტუსზე“ მეტად „ინტერს“ ვებრძვით — თქვა მატჩის შემდეგ კარლო ანჩელოტიმ, რომელიც უკვე მერამდენედ იმეორებს, რომ მისთვის ამ სეზონში პირველი ადგილის მოპოვებაზე მნიშვნელოვანი მეორეს შენარჩუნებაა — რთული მატჩი გვქონდა, რადგან რამდენიმე მთავარი მოთამაშე გვაკლდა, თანაც კრესპო ოკეანისგაღმიდან ახალი დაბრუნებული იყო, სადაც არგენტინის ნაკრებში პატრიოტულ ვალს იხდიდა. ასეთ პირობებში გამარჯვებისთვის საკუთარ ხასიათს უნდა ვუმადლოდეთ.

ანჩელოტის მოკრძალებული ამბიციის მიუხედავად სკუდეტოს ბედი გარკვეული ჯერაც არაა, ხოლო უმთავრესი მატჩი, „იუვენტუსი“ — „პარმა“ თავის ჟამს ელის.

მოგეხსენებათ, იტალიის ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი მომავალი სეზონიდან ჩემპიონთა თასისთვის ბრძოლაში ჩაებმებიან, უეფას თასზე გამსვლელი ადგილებისთვის კი ცალკე და არანაკლები სიმწვავის ბრძოლაა გაჩაღებული. ამ ორომტრიალში „უდინეზე“ — „მილანი“, „პერუჯა“ — „ფიორენტინა“, „პიაჩენცა“ — „ბოლონია“ და „რომა“ — „ლაციო“ 1:1 დამთავრდა.

„უდინეზემ“, ორი ტურის წინ „იუვენტუსს“ 3:0 რომ მოუგო, შემდეგ კი „პარმას“ 2:0 სძლია, ტიტანთა ნგრევის ჰეთ-თრიქი ველარ მოახერხა. „მილანთან“ შეხვედრაში, ოლივერ ბირჰოფის გოლით, სენსაციათა დიდოსტატი მართალია დაწინაურდა, მაგრამ რობერტო ბაჯოს ჩინებულ პასს და პაოლო მალდინის დარტყმას წინ ველარ აღუდგა და ქულა იმყოფინა.

— ფრეს არ ვიმსახურებდით, „პიაჩენცა“ ჩვენზე უკეთ თამაშობდა, მაგრამ ასეთია ფეხბურთი — ბრძანა ბოლონიელთა თავკაცმა რენცო ულივიერიმ მას მერე, რაც მეტოქის ნახევარმცველის ეუსებიო დი ფრანჩესკოს მიერ მისი გუნდის კარში გატანილი ადრეული გოლი, თამაშის დამთავრებამდე რამდენიმე წუთით ადრე შვედმა კენეტ ანდერსონმა კუთხურიდან თაურით გაქვითა.

რომაული დერბიც ბოლო ამოსუნთქვის გოლით დასრულდა. თავიდან არგენტინელი აბელ ბალბოს მეცადინეობით „რომა“ დაწინაურდა. შემდეგ 78-ე წუთზე მოედნიდან ლაციოელი ჯუზეპე ფავალი გააძევეს და ყველაფერი დაწინაურებულთა საბოლოო გამარჯვებას მოასწავებდა, მაგრამ იგორ პროტიმ, რომელმაც წინა შეხვედრაში ჰეთ-თრიქი შეასრულა, მინდვრის უსახელოდ დატოვება არც ამჯერად ისურვა და მსაჯის საფინალო სასტვენს წამით დაასწრო.

პაპუნა ძელია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 29 | 15 | 11 | 3 | 41:19 | 56 |
| პარმა | 29 | 15 | 7 | 7 | 33:23 | 52 |
| ინტერი | 29 | 12 | 12 | 5 | 40:28 | 48 |
| სამპდორია | 29 | 12 | 9 | 8 | 49:39 | 45 |
| ლაციო | 29 | 12 | 8 | 9 | 39:29 | 44 |
| ბოლონია | 29 | 12 | 8 | 9 | 44:36 | 44 |
| ვიჩენცა | 29 | 11 | 9 | 9 | 40:33 | 42 |
| უდინეზე | 29 | 11 | 9 | 9 | 40:35 | 42 |
| ფიორენტინა | 29 | 9 | 13 | 7 | 37:31 | 40 |
| ატალანტა | 29 | 10 | 9 | 10 | 38:37 | 39 |
| მილანი | 29 | 10 | 8 | 11 | 37:38 | 38 |
| რომა | 29 | 9 | 10 | 10 | 41:40 | 37 |
| ნაპოლი | 29 | 7 | 13 | 9 | 30:37 | 34 |
| კალიარი | 29 | 7 | 9 | 13 | 36:46 | 30 |
| პიაჩენცა | 29 | 5 | 15 | 9 | 22:34 | 30 |
| პერუჯა | 29 | 7 | 7 | 15 | 35:54 | 28 |
| ვერონა | 29 | 6 | 8 | 15 | 35:52 | 26 |
| რეჯანა | 29 | 2 | 13 | 14 | 25:51 | 19 |

### სერია B

32-ე ტური: ჯენოა — ტორინო 3:0, სალერნიტანა — ბრეშია 4:1, პადოვა — ჩეზენა 1:0, რავენა — კიევო 1:2, ფოჯა — კრემონეზე 1:2, კოზენცა — ლეჩე 0:0, პალერმო — ლუკეზე 1:1, ბარი — პესკარა 2:1, ემპოლი — რეჯინა 1:0, დი სანგრო — ვენეცია 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრეშია | 32 | 15 | 10 | 7 | 40:29 | 55 |
| ემპოლი | 32 | 15 | 10 | 7 | 41:31 | 55 |
| ლეჩე | 32 | 14 | 12 | 6 | 46:34 | 54 |
| ბარი | 32 | 12 | 14 | 6 | 43:31 | 50 |
| ჯენოა | 32 | 11 | 14 | 7 | 46:26 | 47 |
| რავენა | 32 | 13 | 11 | 8 | 36:27 | 47 |
| კიევო | 32 | 10 | 16 | 6 | 36:32 | 46 |
| ტორინო | 32 | 12 | 10 | 10 | 40:37 | 46 |
| პესკარა | 32 | 11 | 11 | 10 | 40:34 | 44 |
| ფოჯა | 32 | 11 | 10 | 11 | 35:34 | 43 |
| პადოვა | 32 | 9 | 14 | 9 | 34:35 | 41 |
| ვენეცია | 32 | 9 | 13 | 10 | 38:37 | 40 |
| დი სანგრო | 32 | 10 | 8 | 14 | 23:35 | 38 |
| რეჯინა | 32 | 9 | 10 | 13 | 30:38 | 37 |
| სალერნიტანა | 32 | 8 | 12 | 12 | 25:35 | 36 |
| კოზენცა | 32 | 8 | 10 | 14 | 35:46 | 34 |
| ჩეზენა | 32 | 7 | 12 | 13 | 28:36 | 33 |
| ლუკეზე | 32 | 7 | 12 | 13 | 25:38 | 33 |
| კრემონეზე | 32 | 7 | 10 | 15 | 23:38 | 31 |
| პალერმო | 32 | 5 | 15 | 12 | 22:43 | 30 |

## გერმანია

XXX ტური

### მიუნხენ 1860 3:3 ბაიერნი

1:0 ჰელდტი (15), 2:0 ჰელდტი (18), 2:1 კლინსმანი (45), 2:2 შოლი (59), 3:2 ბემე (82), 3:3 იანკერი (88)

### შტუტგარტი 3:0 ზანქტ პაული

1:0 ბუკი (54), 2:0 ბალაკოვი (81), 3:0 ელბერი (89)

### ჰამბურგი 3:2 ვერდერი

1:0 კარდოსო (6), 2:0 სპორლი (17), 3:0 მეისონი (61), 3:1 ჰობში (77), 3:2 ბოდე (90)

### კიოლნი 4:1 კარლსრუე

0:1 დანდი (3), 1:1 ოლისე (19), 2:1 ბრაუნი (50), პოლსტერი (68)

### დორტმუნდი 1:0 შალკე

1:0 ცორკი (83)

### ფრაიბურგი 2:0 დუისბურგი

1:0 ფრონცეკი (53 პ), 2:0 გეზმირი (85)

### გლადბახი 2:2 ლევერკუზენი

0:1 კოვაჩი (1), 0:2 კირსტენი (42), 1:2 პეტერსონი (65), 2:2 დალინი (90)

### ჰანზა 0:0 ბოხუმი

### დიუსელდორფი 1:2 არმინია

1:0 დობროვოლსკი (40), 1:1 რაინა (70), 1:2 კუნცი (78)

„ლევერკუზენმა“ „მიონხენგლადბახთან“ 2:2 ითამაშა და „ბაიერნს“ 5 ქულით დაწინაურების შანსი მისცა, მაგრამ მიუნხენელებმა ვერ ისარგებლეს. იტალიელი მწვრთნელის, სახელგანთქმული ჯოვანი ტრაპატონის გუნდმა თანაქალაქელ მიუნხენ 1860-თან დაკარგა ნანატრი 2 ქულა. ის კი არა და კინაღამ წააგო, პირველად 1977 წლის შემდეგ.

მიუნხენის ორი გუნდის 185-ე ბრძოლაში ბევრი ლამაზი გოლი გავიდა. მე-15 წუთზე ჰორსტ ჰელდტმა ლამის მთელი მოედანი გაირბინა, სანამ უძლიერესი დარტყმით ოლივერ კანს დაამარცხებდა. მეორე გოლი მანვე დაამატა: ოლაფ ბოდენის წაქცევისთვის პენალტი დაინიშნა, კანმა ჰელდტის პირველი დარტყმა მოიგერია, მაგრამ ყოფილმა კიოლნელმა არ დააყოვნა, ასხლეტილსაც დაჰკრა და მრისხანე მეტოქე ორი ბურთით ჩამოიტოვა. „ბაიერნს“ ტაიმის მიწურულს იურგენ კლინსმანის უძლავრესმა თაურმა შეამცირებინა სხვაობა, კართა შეცვლის შემდეგ კი მეჰმეთ შოლმა რამდენიმე 1860-ელს ჩაუდრიბლინგა და ზუსტი დარტყმით გაქვითა. მიუხედავად იმისა, რომ მეორე ტაიმის შუაში მოედნიდან კრისტიან ციგე გააგდეს, „ბაიერნი“ თითქოს ინარჩუნებდა 2:2-ს, მაგრამ თამაშში ახალშესულმა იორგ ბემემ პირველივე შეხებით კვლავ დააწინაურა თავისიანები. ცოტა ხანში ტრაპატონის მათეუსიც გაუძევეს მოედნიდან, მაგრამ მრავალ ჭირში ნაცადმა „ბაიერნმა“ მაინც შეაგდო ქულის გადამრჩენი გოლი: მინდორზე კლინსმანის მაგივრად შესულმა კარსტენ იანკერმა საჯარიმოში საუცხოო ბრუნით დაარტყა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 30 | 18 | 9 | 3 | 59:30 | 63 |
| ლევერკუზენი | 30 | 18 | 6 | 6 | 59:37 | 60 |
| შტუტგარტი | 30 | 17 | 7 | 6 | 71:30 | 58 |
| დორტმუნდი | 30 | 17 | 5 | 8 | 57:36 | 56 |
| ბოხუმი | 30 | 12 | 11 | 7 | 44:42 | 47 |
| მიუნხენ 1860 | 30 | 11 | 10 | 9 | 51:47 | 43 |
| კარლსრუე | 30 | 11 | 8 | 11 | 47:42 | 41 |
| არმინია | 30 | 11 | 7 | 12 | 40:42 | 40 |
| შალკე 04 | 30 | 10 | 9 | 11 | 33:35 | 39 |
| ვერდერი | 30 | 11 | 6 | 13 | 45:48 | 39 |
| კიოლნი | 30 | 11 | 5 | 14 | 51:57 | 38 |
| ჰამბურგი | 30 | 9 | 10 | 11 | 43:49 | 37 |
| გლადბახი | 30 | 10 | 6 | 14 | 33:39 | 36 |
| დუისბურგი | 30 | 9 | 9 | 12 | 36:46 | 36 |
| ჰანზა | 30 | 9 | 7 | 14 | 31:41 | 34 |
| ფორტუნა | 30 | 8 | 5 | 17 | 24:52 | 29 |
| ზანქტ პაული | 30 | 7 | 6 | 17 | 29:49 | 27 |
| ფრაიბურგი | 30 | 6 | 3 | 21 | 38:65 | 21 |

### მეორე ბუნდესლიგა

28-ე ტური: ჰერტა — მანჰაიმი 2:2, როტ ვაისი — ოლდენბურგი 5:0, ვოლფსბურგი — აინტრახტი 4:1, ლაიპციგი — ცვიკაუ 4:0, გიუტერსლო — ლიუბეკი 3:1, კარლ ცაისი — კიკერსი 0:0, მაინცი — მეპენი 3:0, კაიზერსლაუტერნი — ფორტუნა (კიოლნი) 2:0, ურდინგენი — უნტერჰახინგი წუხელ გაიმართა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კ. სლაუტერნი | 28 | 15 | 10 | 3 | 53:20 | 55 |
| ჰერტა | 28 | 15 | 7 | 6 | 50:29 | 52 |
| ვოლფსბურგი | 28 | 11 | 13 | 4 | 40:24 | 46 |
| მაინცი | 28 | 11 | 11 | 6 | 41:27 | 44 |
| კიკერსი | 28 | 11 | 10 | 7 | 33:24 | 43 |
| მეპენი | 28 | 10 | 11 | 7 | 35:33 | 41 |
| ლაიპციგი | 28 | 11 | 7 | 10 | 43:44 | 40 |
| უნტერჰახინგი | 27 | 8 | 14 | 5 | 25:22 | 38 |
| გიუტერსლო | 28 | 10 | 8 | 10 | 36:41 | 38 |
| ურდინგენი | 27 | 11 | 4 | 12 | 40:32 | 37 |
| ფორტუნა | 28 | 9 | 8 | 11 | 46:38 | 35 |
| აინტრახტი | 28 | 9 | 8 | 11 | 32:38 | 35 |
| კარლ ცაისი | 28 | 7 | 13 | 8 | 34:36 | 34 |
| მანჰაიმი | 28 | 8 | 7 | 13 | 36:45 | 31 |
| ლიუბეკი | 28 | 5 | 12 | 11 | 22:39 | 27 |
| ცვიკაუ | 28 | 7 | 6 | 15 | 22:42 | 27 |
| ოლდენბურგი | 28 | 6 | 8 | 14 | 30:57 | 26 |
| როტ ვაისი | 28 | 7 | 3 | 18 | 35:62 | 24 |

## ესპანეთი

XXXVI ტური

### ბილბაო 0:0 ვალიადოლიდი

### ერკულესი 1:0 ლოგრონიესი

1:0 სოტერო (24 საკ. კარში)

### ბეტისი 0:0 კომპოსტელა

### რაიო ვალეკანო 1:2 ტენერიფე

1:0 მორო (25), 1:1 დორადო (62), 1:2 პინილია (89)

### ოვიედო 1:0 სარაგოსა

1:0 ოლი ალვარესი (75)

### რასინგი 1:1 ატლეტიკო

1:0 მერინო (15), 1:1 კამინერო (35)

### რეალი 3:1 სპორტინგი

0:1 ჩერიშევი (9), 1:1 შუკერი (38), 2:1 რობერტო კარლოსი (62), 3:1 შუკერი (70)

### ესპანიოლი 3:0 სოსიედადი

1:0 უედეკი (43 პ), 2:0 არტეგა (52), 3:0 არტეგა (68)

### სელტა 1:1 ვალენსია

1:0 გუდელი (2), 1:1 ლეანდრო (48)

### დეპორტივო 3:0 სევილია

1:0 რივალდო (18), 2:0 რივალდო (77 პ), 3:0 მანხარინი (80)

ესტრემადურა — ბარსელონა წუხელ გაიმართა

ფაბიო კაპელოს განცხადებამ „რეალიდან“ სეზონის დამთავრებისთანავე წავალო, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ დიდი მღელვარება გამოიწვია. ხიხონელებთან შეხვედრაში რუსმა დმიტრი ჩერიშევმა მე-9 წუთზე მადრიდელებს გოლი რომ გაუტანა, ქომაგებმა იფიქრეს არიქა, იტალიელმა მწვრთნელმა აგვიწეწა დალაგებული საქმეო და კაპელოს გვარიანი სტვენა და ქოქოლა დააყარეს. თურმე ცდებოდნენ, დავორ შუკერმა და რობერტო კარლოსმა ერთის პასუხად სამი შეაგდეს და „სამეფო გუნდს“ უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოუპოვეს. ხორვატმა ბომბარდირმა პირველ ნახევარშივე გაათანაბრა ანგარიში, მეორეში კი „რეალი“ მოედანზე მართლაც გამეფდა, ბრაზილიელმა მეორე გაიტანა, ხოლო მესამედ ისევ შუკერმა იძალა.

— ეს იყო იმ გუნდის ტრიუმფი, რომელმაც მძიმე დროებას აჯობა — ამაყად ბრძანა „რეალის“ პრეზიდენტმა ლორენსო სანსმა.

„რეალ“ — „სპორტინგის“ შეხვედრამ ერთობ გასარჯა არბიტრიც, რომელმაც ხიხონის გუნდის სამ მოთამაშეს, იგორ ლედიახოვს, მიგელ მონტესს და ფერნანდო ხინერს ბოლო ხუთ წუთში წითელი ბარათი უჩვენა.

„ბეტისმა“ შინ ზედიზედ მესამე ფრე ითამაშა, არადა გუნდს, რომელსაც „ბარსელონასთან“ მეორე ადგილისთვის დიდი მარათონი აქვს გამართული, ამ ქულების დაკარგვა ხელს არ აძლევდა. სამაგიეროდ „დეპორტივომ“ ივარგა და „სევილიას“ 3:0 სძლია. ლა კორუნიელთაგან ორი გოლი ბრაზილიელმა რივალდომ შეაგდო. აღსანიშნავია, რომ მისთვის ეს მატჩი ზედიზედ მეექვსე იყო მეტოქის კარი რომ დალაშქრა, სეზონში მისი მონაგარი კი 21-ის ტოლია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 36 | 24 | 11 | 1 | 76:29 | 83 |
| ბარსელონა | 35 | 22 | 6 | 7 | 88:43 | 72 |
| ბეტისი | 36 | 20 | 12 | 4 | 74:36 | 72 |
| დეპორტივო | 36 | 20 | 12 | 4 | 55:25 | 72 |
| ატლეტიკო | 35 | 17 | 9 | 9 | 65:51 | 60 |
| ვალიადოლიდი | 36 | 15 | 10 | 11 | 50:42 | 55 |
| ბილბაო | 36 | 12 | 16 | 8 | 63:51 | 52 |
| ტენერიფე | 35 | 14 | 8 | 13 | 57:43 | 50 |
| სოსიედადი | 36 | 14 | 8 | 14 | 40:41 | 50 |
| ვალენსია | 36 | 13 | 9 | 14 | 54:50 | 48 |
| რასინგი | 36 | 11 | 14 | 11 | 45:41 | 47 |
| სელტა | 36 | 10 | 13 | 13 | 44:45 | 43 |
| ესპანიოლი | 36 | 11 | 9 | 16 | 40:47 | 42 |
| კომპოსტელა | 36 | 10 | 12 | 14 | 39:56 | 42 |
| ოვიედო | 36 | 11 | 8 | 17 | 36:58 | 41 |
| სარაგოსა | 36 | 9 | 13 | 14 | 46:56 | 40 |
| ესტრემადურა | 35 | 10 | 10 | 15 | 30:48 | 40 |
| რაიო | 36 | 11 | 6 | 19 | 37:52 | 39 |
| სპორტინგი | 36 | 9 | 9 | 18 | 37:62 | 36 |
| ერკულესი | 36 | 10 | 5 | 21 | 35:64 | 35 |
| სევილია | 36 | 8 | 6 | 22 | 33:63 | 30 |
| ლოგრონიესი | 36 | 8 | 4 | 24 | 27:74 | 28 |

## შვეიცარია

ფინალური ეტაპის მე-9 ტური: ბაზელი — გრასჰოპერი 3:3, ლოზანა — სენტ გალენი 2:1, სიონი — არაუ 2:3, ციურიხი — ქსამაქსი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქსამაქსი | 9 | 4 | 4 | 1 | 14:9 | 38 |
| ლოზანა | 9 | 6 | 1 | 2 | 15:8 | 36 |
| სიონი | 9 | 5 | 2 | 2 | 13:9 | 36 |
| გრასჰოპერი | 9 | 4 | 3 | 2 | 26:13 | 35 |
| არაუ | 9 | 3 | 3 | 3 | 13:13 | 30 |
| სენტ გალენი | 9 | 1 | 4 | 4 | 8:19 | 22 |
| ბაზელი | 9 | 2 | 1 | 6 | 10:19 | 20 |
| ციურიხი | 9 | 0 | 4 | 5 | 3:12 | 18 |

# ინგლისი

XXXVII ტური

## არსენალი 0:1 ნიუკასლი

**არსენალი:** სიმენი, დიქსონი, უინთერბერნი, ბოულდი, ადამსი (პარლოუ 46), პლატი (ანელკა 59), მერსონი, რაიტი, კეოუნი, ბერხკამფი
**ნიუკასლი:** სრნიჩეკი, ბარტონი, ბეტი, პიკოკი, უოტსონი, ელიოტი, ფერდინანდი, შირერი, ასპრილია (გილესპი 52), ლი (კლარკი 28)
**გოლი:** ელიოტი (44)
**გაძევება:** გილესპი (79)

სტუმრებმა კარგა ხნის უთამაშებლობის შემდეგ სრნიჩეკს ძირითადში ადგილი აღირსეს. მეკარეც რამდენჯერმე ჩინებულად გაისარჯა და მეტოქეთა საათნახევრიან ძიძგილაობაში, რომლის დროსაც ცხრა კაცი გააფრთხილეს და გილესპი გააგდეს, თავისიანებს ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შანსი შეუნარჩუნა. მოთამაშეთა დაშოშმინების მერე „არსენალმა" იძალა, თუმცა, „მეთოფეთა" რამდენიმე „გასროლამ" სრნიჩეკს ვერაფერი დააკლო. ტაიმის დასასრულს კლარკის კუთხური პიკოკმა ელიოტს გადაუგდო და ამანაც თაურით გაიტანა. მეორე ტაიმში ვენგერის გუნდმა დიდი უპირატესობა მოიპოვა. „არსენალის" შეჩერება ნიუკასლელებმა უხეში თამაშით სცადეს, მაგრამ ეს გილესპის გაძევებად დაუჯდათ. თამაშის ბოლო წამებზე, ვიერას თაურით შეეძლო ეხეირა, მაგრამ სრნიჩეკმა „ნიუკასლს" ჩემპიონატში ზედიზედ მესამე მოგება შეუნარჩუნა.

## ჩელსი 0:0 ლიდსი

**ჩელსი:** გროდასი, პეტრესკუ, უაიზი, დი მატეო (პ. ჰიუზი 66), იონსენი, მინტო, სინკლერი, ნიკოლზი (მორისი 87), გრენვილი, ვიალი, მ. ჰიუზი
**ლიდსი:** მარტინი, კელი, დორიგო, პალმერი, რადებე, ლილი, ბოუერი, უეზეროლი, დინი, ჰოლი

„ლიდსმა" ჩემპიონატში მეცხრე ნულოვანი ფრე ითამაშა. მასპინძლებს აშკარად აკლდათ ძოლა, რომელიც ინგლისელებმა ამ დღეებში ქვეყნის საუკეთესო მობურთალად შერაცხეს. გულიტმა ძოლა თასის ფინალის წინ დაასვენა. ჯანფრანკო პირველი იტალიელი, ხოლო მეხუთე არაბრიტანელია, ვინც ინგლისის საუკეთესო მოთამაშის ტიტულის ღირსი გახდა.

## ლივერპული 2:1 ტოტენჰემი

**ლივერპული:** ჯეიმსი, მაკატირი, კვარმე, რაიტი, რადოკი, ბიორნებიუ, ტომასი, რედნაპი, ბერგერი, მაკმანამანი, კოლიმორი
**ტოტენჰემი:** უოქერი (ბაარდსენი 46), ოსტინი, ჰოუელსი (ფოქსი 46), კალდერვუდი, სქაილზი, კემპბელი, დოზელი, ვეგა, სინტონი, ანდერტონი (მაკვიგი 75), შერინგემი
**გოლი:** ანდერტონი (5), კოლიმორი (15), ბერგერი (43)

ტრავმებით გაწამებულმა დარენ ანდერტონმა ძირითადში დაბრუნება ერთობ ეფექტური გოლით აღნიშნა. „ლივერპულს" დისკვალიფიცირებული ფაულერი აკლდა, თუმცა მის ნაცვლად მოთამაშე ნორვეგიელი კვარმე ერთობ კარგად გაისარჯა. კოლიმორმა რადოკის ჩაწოდებული ჯარიმიდან „ტოტენჰემის" გოლი გაქვითა. შესვენებამდე ვეგას შეცდომით ჩეხმა ბერგერმა იხეირა და „ლივერპული" დააწინაურა. მატჩის მერე მასპინძელთა გახარებულმა თავკაცმა როი ევანსმა თქვა, მართალია ბოლო ორი მატჩი გასვლაზე გვაქვს, მაგრამ ჩემპიონთა ლიგის საგზურს ცოცხალი თავით არ დავთმობთო.

## ლესტერი 2:2 მანჩესტერი

**ლესტერი:** კელერი, გრეისონი, კამარკი, ელიოტი, უოლში, იზეტი (კემპბელი 33), ლენონი, პარკერი (უითლოუ 71), ჰესკი, მარშალი, კლერიჯი (ჯაპი 83)
**მანჩესტერი:** შმაიხელი, ფ. ნევილი, პალისტერი, გ. ნევილი, მეი, სქოულზი, კინი, ბათი (ბექემი 46), კოული, კანტონა, სოლსკიაერი (იონსენი 85)
**გოლი:** უოლში (16), მარშალი (20), სოლსკიაერი (45, 51)

ლიგის თასის მფლობელმა გვარიანად დაღალა ქვეყნის ბოლო წლების უძლიერესი გუნდი. პარკერის კუთხურის მერე გიგანტმა უოლშმა ბურთი რომ მოიხელთა, ლონივრად დასცხო და შმაიხელს პირველი გაუტანა. არ გაუვლია დიდ დროს და მარშალმა, პალისტერის ჩამოცილების შემდეგ, ცაციათი შეაგდო. სოლსკიაერმა ტაიმის ბოლოს ერთი ბურთი გაქვითა. მეორე ტაიმში კანტონას გადაცემით კოულმა ლონივრად დასცხო. კელერის მოგერიებულს კი სოლსკიაერმა შედეგიანად დაამატა.

## მიდლსბრო 3:2 ასტონ ვილა

**მიდლსბრო:** რობერტსი, პირსონი, ემერსონი, მუსტო, ფლემინგი, ბლექმორი, ფესტა, ჰინეტი, ბეკი (სტამპი 64), ჟუნინიო, რავანელი
**ასტონ ვილა:** ბოზნიჩი (ოუკსი 77), ნელსონი, რაიტი, ეჰიოგუ, სტონტონი, საუთგეიტი, ტეილორი, თაუნსენდი, ჩურჩიჩი (იოაკიმი 57), იორკი, მილოშევიჩი (ფარელი 85)
**გოლი:** რავანელი (20, 90 პ), ბეკი (34), ეჰიოგუ (58), მილოშევიჩი (78)
**გაძევება:** სტონტონი (81)

მსაჯის მიერ წამატებულ წუთებზე ფარელიმ ჰინეტი წააქცია. არბიტრმა უყოყმანოდ დანიშნა პენალტი. რავანელიმ ზუსტად დაარტყა. მანამდე კი... ფაბრიციომ ჰინეტის პასი მიიღო თუ არა, ბოზნიჩს საგოლედ დაურტყა. ბეკმა ფლემინგის პასით მეკარე გამოიტყუა და მერე გაუტანა. მეორე ტაიმში ეჰიოგუმ და მილოშევიჩმა გააყაიმეს. მატჩიც თითქოს ფრედ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ გამოხტა ფარელი და...

## ქოვენთრი 1:2 დერბი

**ქოვენთრი:** ოგრიზოვიჩი, შოუ, უილიამსი, ბოროუზი (ბრინი 36), ბაროუზი, ველანი, მაკალისტერი, ტელფერი, სტრაჩანი (ჯესი 50), დაბლინი, ნდლოვუ (ჰაკერბი 73)
**დერბი:** პოომი, როუეტი, ს. პაუელი, ტრილოპი, ლაურსენი, დ. პაუელი, ვან დერ ლაანი (ვილემსი 79), კერსლი (იეტისი 46), დეილი, სტარიჯი, უორდი
**გოლი:** როუეტი (49), მაკალისტერი (59 პ), სტარიჯი (67)

„ქოვენთრი" შარშან კი გადარჩა პრემიერლიგიდან გავარდნას, მაგრამ წელს ამას, ეტყობა, ვერ ასცდება. მეორე ტაიმში როუეტმა ოგრიზოვიჩს პირველად დაურტყა და შეუგდო კიდეც. ზუსტად ათ წუთში მაკალისტერმა დეილის უხეშობისათვის დანიშნული პენალტით გააყაიმა, თუმცა მალე სტარიჯმა სტატეს-ქვო აღადგინა.

## ნოტინგემი 1:1 უიმბლდონი

**ნოტინგემი:** ფეტისი, ლიტლი, პირსი (ფილასი 16), კუპერი, გემილი, სონდერსი (კემპბელი 82), ვან ჰუიდონკი, ალენი, ჰაალანდი (როი 56), ოწილი
**უიმბლდონი:** სალივანი, კიმბლი, ჯოუნზი (ჰელდი 63), ლეონარდსენი, ერლი, გეილი, პერი, მაკალისტერი, ერდლი, იუელი, ჯაპი (რივსი 86)
**გოლი:** ლეონარდსენი (16), როი (59)

## საუთჰემპტონი 2:0 ბლექბერნი

**საუთჰემპტონი:** ტეილორი, ვან გობელი, ლუნდეკვამი, დრაიდენი, ბენალი, სლეიტერი, მეჯილტონი, ოსტენსტადი, ოუკლი (ნილსონი 57), ბერკოვიჩი (ლე ტისიე 67), ევანსი
**ბლექბერნი:** ფლაუერსი, კენა (რიპლი 84), შერვუდი, ჰენდრი, ლე სო, გალაჰერი, პედერსენი (უერჰარსტი 46), მაკკინლი, ბერგი, ფლიტკროფტი, პირსი (უილკოქსი 81)
**გოლი:** სლეიტერი (22), ლე ტისიე (74)

ფლაუერსის თავგანწირული თამაშის მიუხედავად „ბლექბერნმა" ორი გაუშვა, ვერ გაიტანა და დამარცხდა, „საუთჰემპტონმა" კი ზედიზედ მეშვიდე წაუგებელი მატჩი ითამაშა.

## ვესტ ჰემი 5:1 შეფილდი

**ვესტ ჰემი:** მიკლოშკო, პოტსი, ჰოლი, კიტსონი, ჰარტსონი, ლომასი (ბოილანი 89), პორფირიო, მონკური, ლაზარიდისი (ბიშოპი 82), ფერდინანდი, ბილიჩი (რიპერი 78)
**შეფილდი:** პრესმენი, აზერტონი, ნოლანი, პემბრიჯი, უოლკერი, უიტინგემი (ოუკსი 46), კარბონი, ბუთი, ნიკოლი (ბლინკერი 46), სტეფანოვიჩი
**გოლი:** კიტსონი (5, 13, 89), ჰარტსონი 30, 67), კარბონი (82)

„შეფილდი" ამ ჩემპიონატში ყველაზე დიდი ანგარიშით დამარცხდა.

## სანდერლენდი 3:0 ევერტონი

**სანდერლენდი:** პერესი, ჰოლი (ჯონსტონი 46), გრეი, ორდი, ბრაისველი, ბოლი, ჰოუი, სტიუარტი, უილიამსი, ქუინი, უოდლი
**ევერტონი:** საუთჰოლი, ბარეტი, უოტსონი, ფელანი (ჰილსი 86), სტიუარტი (ბოლი 71), ფერგიუსონი, სპიდი, ბარმბი, ტომსენი, ბრენჩი, დანი
**გოლი:** სტიუარტი (36 პ), უოდლი (57), ჯონსტონი (68)

„ვფიქრობ, „სანდერლენდმა" ჩემპიონატში საუკეთესო მატჩი ითამაშა. მათი თამაშის შემხედვარე ვფიქრობდი, ასეთი გუნდი პრემიერლიგაში დასარჩენად როგორ უნდა იბრძოდეს-მეთქი" — ეს სიტყვები გამარჯვებულთა თავკაცს პიტერ რიდს ეკუთვნის, კაცს, რომელმაც წინა სეზონში კლუბი პირველი დივიზიონიდან პრემიერლიგაში გადაიყვანა.

**ლაშა გოდუაძე**

გუშინ გაიმართა გამოტოვებული მატჩი:

## მანჩესტერი 3:3 მიდლსბრო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 36 | 20 | 11 | 5 | 74:44 | 71 |
| ლივერპული | 36 | 19 | 10 | 7 | 60:34 | 67 |
| არსენალი | 37 | 18 | 11 | 8 | 59:31 | 65 |
| ნიუკასლი | 35 | 18 | 9 | 8 | 68:40 | 63 |
| ასტონ ვილა | 37 | 16 | 10 | 11 | 46:34 | 58 |
| ჩელსი | 37 | 15 | 11 | 11 | 56:54 | 56 |
| შეფილდი | 36 | 14 | 14 | 8 | 49:49 | 56 |
| უიმბლდონი | 36 | 13 | 11 | 12 | 46:45 | 50 |
| ტოტენჰემი | 37 | 13 | 7 | 17 | 43:49 | 46 |
| დერბი | 37 | 11 | 13 | 13 | 44:55 | 46 |
| ლიდსი | 37 | 11 | 12 | 14 | 27:37 | 45 |
| ევერტონი | 37 | 10 | 12 | 15 | 43:55 | 42 |
| ბლექბერნი | 36 | 9 | 14 | 13 | 40:39 | 41 |
| საუთჰემპტონი | 37 | 10 | 11 | 16 | 50:55 | 41 |
| ვესტ ჰემი | 36 | 10 | 11 | 15 | 39:46 | 41 |
| ლესტერი | 36 | 10 | 11 | 15 | 41:52 | 41 |
| სანდერლენდი | 37 | 10 | 10 | 17 | 35:52 | 40 |
| ქოვენთრი | 37 | 8 | 14 | 15 | 36:53 | 38 |
| მიდლსბრო | 36 | 10 | 10 | 16 | 50:59 | 37 |
| ნოტინგემი | 37 | 6 | 16 | 15 | 31:54 | 33 |

# პირველი დივიზიონი

## სიტი 3:2 რედინგი

**სიტი:** მარგეტსონი, ბრაითველი, ჰორლოკი, კრუქსი, საიმონსი, ბრენენი, სამერბი, მაკგოლდრიკი (კლაფი 90), უითლი (ჰინი 59), როსლერი
**გოლი:** მიკერი (2), საიმონსი (33 საკ. გ), დიკოვი (34), როსლერი (66), ჰინი (78)

სხვა შეხვედრები: ბრედფორდი — ქუინზ პარკი 3:0, ჩარლტონი — შეფილდი 0:0, კრისტალ პალასი — პორტ ვეილი 1:1, გრიმსბი — საუთენდი 4:0, ჰადერსფილდი — სვინდონი 0:0, იფსვიჩი — ბირმინგემი 1:1, ოლდემი — ნორვიჩი 3:0, ოქსფორდი — ბარნსლი 5:1, სტოკ სიტი — ვესტ ბრომვიჩი 2:1, ტრანმერი — ბოლტონი 2:2, ვულვზი — პორთსმუტი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლტონი | 46 | 28 | 14 | 4 | 100:53 | 98 |
| ბარნსლი | 46 | 22 | 14 | 10 | 76:55 | 80 |
| ვულვზი | 46 | 22 | 10 | 14 | 68:51 | 76 |
| იფსვიჩი | 46 | 20 | 14 | 12 | 68:50 | 74 |
| შეფილდი | 46 | 20 | 13 | 13 | 75:52 | 73 |
| კრისტალ პალ. | 46 | 19 | 14 | 13 | 78:48 | 71 |
| პორტსმუთი | 46 | 20 | 8 | 18 | 59:53 | 68 |
| პორტ ვეილი | 46 | 17 | 16 | 13 | 58:55 | 67 |
| ქუინზ პარკი | 46 | 18 | 12 | 16 | 64:60 | 66 |
| ბირმინგემი | 46 | 17 | 14 | 14 | 51:47 | 66 |
| ტრანმერი | 46 | 17 | 14 | 15 | 63:56 | 65 |
| სტოკ სიტი | 46 | 18 | 10 | 18 | 51:57 | 64 |
| ნორვიჩი | 46 | 17 | 12 | 17 | 63:68 | 63 |
| სიტი | 46 | 17 | 10 | 19 | 59:60 | 61 |
| ჩარლტონი | 45 | 16 | 11 | 18 | 52:65 | 59 |
| ვესტ ბრომვიჩი | 46 | 14 | 15 | 17 | 68:72 | 57 |
| რედინგი | 46 | 15 | 12 | 19 | 58:67 | 57 |
| ოქსფორდი | 46 | 16 | 9 | 21 | 64:68 | 57 |
| სვინდონი | 46 | 15 | 9 | 22 | 52:71 | 54 |
| ჰადერსფილდი | 46 | 13 | 15 | 18 | 48:61 | 54 |
| გრიმსბი | 46 | 11 | 13 | 22 | 60:81 | 46 |
| ბრედფორდი | 45 | 11 | 12 | 22 | 46:72 | 45 |
| ოლდემი | 46 | 10 | 13 | 23 | 51:66 | 43 |
| საუთენდი | 46 | 8 | 15 | 23 | 42:86 | 39 |




ლივერპულელმა კვარმემ გამორჩეულად ითამაშა

# საფრანგეთი

## ვივა ტიგანა!

36-ე ტური: მონაკო — კაენი 2:2, ოსერი — რენი 4:1, მეცი — ბასტია 1:0, ლე ავრი — ნიცა 1:0, ლიონი — ლილი 0:0, პსჟ — ბორდო 2:2, ლანსი — მარსელი 2:0, კანი — სტრასბური 2:2, გინგამი — ნანტი 0:0, მონპელიე — ნანსი 1:1

ფრანგული ოქროს ბედი გაირკვა — „მონაკო" ჩემპიონია. პატარა სამთავროს გუნდმა ვეებერთელა რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება მეექვსედ მოიპოვა.

— კარგა ხანია ვგრძნობდით, რომ ტიტული ხელიდან ვერ დაგვისხლტებოდა. პირველობის დაწყებიდან ორიოდე თვის შემდეგვე მივხვდი, ჩემპიონები ჩვენ უნდა გავმხდარიყავით. ასეთი რწმენა დიდ ძალას გვმატებდა — განუცხადა პრესას გუნდის კაპიტანმა ემანუელ პეტიმ.

სხვათა შეფასება ასეთი გახლდათ: — გულწრფელად მეგონა, რომ ჩემპიონი „პარი სენ ჟერმენი" გახდებოდა— თქვა სახელგანთქმულმა ჟან-პიერ პაპენმა, რომელმაც „ბორდოს" პარიზელებთან ფრის მიღწევაში დიდად შეუწყო ხელი. ბორდოელთა მწვრთნელმა როლან კურბისმა კი ჩემპიონი ასე შეაფასა: — „მონაკომ" პირველობა იმიტომ მოიპოვა, რომ ბოლო ორ წელიწადში უძლიერესი ფეხბურთელები არ შემოფანტვია.

მაშ ასე, საფრანგეთის ნაკრების ყოფილმა ვარსკვლავმა ჟან ტიგანამ მწვრთნელობაშიც ისახელა თავი. რაც შეეხება მეორე ადგილს, რომელიც მომავალ სეზონში ჩემპიონთა თასის საგზურს უზრუნველყოფს, ის ალბათ „პარი სენ ჟერმენის" ხვედრი გახდება, თუმცა შანსი ჯერ „ნანტსაც" არ დაუკარგავს. ისე კი „ნანტს", რომელსაც აგერ უკვე 29 შეხვედრაა, რაც არ წაუგია, სეზონის დასაწყისში ხუთი ფრე და ხუთიც მარცხი რომ არ მოსწვეოდა, ... დღეს „მონაკო" ჩემპიონი არც ყოფილიყო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 36 | 21 | 10 | 5 | 64:23 | 73 |
| პსჟ | 36 | 17 | 13 | 6 | 55:29 | 64 |
| ნანტი | 36 | 15 | 16 | 5 | 57:30 | 61 |
| ბორდო | 36 | 15 | 14 | 7 | 55:39 | 59 |
| მეცი | 36 | 16 | 11 | 9 | 39:27 | 59 |
| ოსერი | 36 | 16 | 10 | 10 | 45:29 | 58 |
| სტრასბური | 36 | 18 | 3 | 15 | 50:47 | 57 |
| ლიონი | 36 | 15 | 11 | 10 | 49:48 | 56 |
| ბასტია | 36 | 15 | 10 | 11 | 49:45 | 55 |
| მონპელიე | 36 | 11 | 15 | 10 | 39:37 | 48 |
| მარსელი | 36 | 11 | 13 | 12 | 42:40 | 46 |
| გინგამი | 36 | 11 | 12 | 13 | 31:34 | 45 |
| ლანსი | 36 | 12 | 8 | 16 | 40:51 | 44 |
| ლე ავრი | 36 | 10 | 12 | 14 | 31:39 | 42 |
| კანი | 36 | 9 | 14 | 13 | 25:37 | 41 |
| რენი | 36 | 10 | 9 | 17 | 38:54 | 39 |
| ნანსი | 36 | 8 | 10 | 18 | 31:48 | 34 |
| ლილი | 36 | 8 | 10 | 18 | 30:55 | 34 |
| კაენი | 36 | 6 | 15 | 15 | 32:46 | 33 |
| ნიცა | 36 | 4 | 8 | 24 | 26:65 | 20 |

# ავსტრია

30-ე ტური: ზალცბურგი — ლინცერი 6:2, ლინცი — ადმირა ვაკერი 2:2, ტიროლი — შტურმი 2:0, კაზინო — რიედი 1:0, აუსტრია — რაპიდი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 30 | 16 | 10 | 4 | 57:27 | 58 |
| ზალცბურგი | 30 | 16 | 10 | 4 | 43:17 | 58 |
| ტიროლი | 30 | 13 | 7 | 10 | 40:33 | 46 |
| შტურმი | 30 | 11 | 11 | 8 | 39:25 | 44 |
| ლინცერი | 30 | 9 | 14 | 7 | 33:33 | 41 |
| კაზინო | 30 | 9 | 11 | 10 | 30:36 | 38 |
| აუსტრია | 30 | 9 | 8 | 13 | 32:45 | 35 |
| რიედი | 30 | 10 | 4 | 16 | 36:49 | 34 |
| ლინცი | 30 | 5 | 10 | 15 | 22:39 | 25 |
| ადმირა ვაკერი | 30 | 5 | 9 | 16 | 28:56 | 24 |


# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

**ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა.** გადადებული მატჩები

6 მაისი

| | | | |
|---|---|---|---|
| უიმბლდონი — ლივერპული | 3,8 | 3,0 | 1,7 |
| ვესტ ჰემი — ნიუკასლი | 3,0 | 2,8 | 2,6 |
| 7 მაისი | | | |
| ლესტერი — შეფილდი | 2,4 | 2,6 | 2,4 |
| 8 მაისი | | | |
| ბლექბერნი — მიდლსბრო | 1,8 | 3,0 | 3,3 |
| მანჩესტერი — ნიუკასლი | 1,8 | 3,0 | 3,3 |

**უეფას თასი.** ფინალის პირველი მატჩი

7 მაისი

| | | | |
|---|---|---|---|
| შალკე — ინტერი | 2,3 | 2,6 | 2,6 |

**იტალიის თასი.** ფინალის პირველი მატჩი

8 მაისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნაპოლი — ვიჩენცა | 1,7 | 2,8 | 4,2 |

**ჰოლანდიის თასის ფინალი**

8 მაისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰერენვენი — როდა | 2,3 | 2,8 | 2,3 |

**რუსეთის თასის მეოთხედფინალები**

6 მაისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ზარია (ლენინსკ-კუზნეცკი) — დინამო | 8,0 | 4,2 | 1,2 |
| 7 მაისი | | | |
| სპარტაკი — ზენიტი | 1,2 | 4,2 | 8,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,0 |

**მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი**

7 მაისი

| | | | |
|---|---|---|---|
| უკრაინა — სომხეთი | 1,15 | 4,7 | 9,0 |
| 0:1 | 1,4 | 3,2 | 4,0 |

**ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი**

6 მაისი

| | | | |
|---|---|---|---|
| სლოვაკეთი — ნორვეგია | 1,1 | 5,6 | 7,5 |
| ლატვია — გერმანია | 1,7 | 3,8 | 2,8 |
| ფინეთი — კანადა | 1,5 | 3,8 | 3,4 |
| რუსეთი — აშშ | 1,6 | 3,8 | 3,1 |
| 7 მაისი | | | |
| ნორვეგია — საფრანგეთი | 2,8 | 3,8 | 1,7 |
| იტალია — გერმანია | 2,0 | 3,8 | 2,0 |
| კანადა — ჩეხეთი | 2,5 | 3,8 | 1,8 |
| შვედეთი — ფინეთი | 2,5 | 3,8 | 1,8 |
| 8 მაისი | | | |
| იტალია — სლოვაკეთი | 3,4 | 3,8 | 1,5 |
| ლატვია — საფრანგეთი | 1,2 | 4,7 | 6,0 |
| შვედეთი — ჩეხეთი | 1,9 | 3,8 | 2,2 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16;
ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე.

## ჰოლანდია

30-ე ტური: ბრედა — ფეიენოორდი 0:2, სპარტა — აიაქსი 2:1, ვიტესი — ტილბურგი 2:0, ვოლენდამი — აზ 67 2:2, გრააფსხაპი — ჰერენვეენი 2:1, ტვენტე — სიტარდი 2:1, ვალვაიკი — უტრეხტი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 30 | 20 | 6 | 4 | 55:28 | 66 |
| ეინდჰოვენი | 29 | 20 | 5 | 4 | 76:20 | 65 |
| ტვენტე | 30 | 18 | 4 | 8 | 51:28 | 58 |
| აიაქსი | 29 | 14 | 9 | 6 | 44:25 | 51 |
| ვიტესი | 30 | 14 | 9 | 7 | 50:34 | 51 |
| ჰერევენი | 30 | 13 | 11 | 6 | 53:36 | 50 |
| როდა | 30 | 14 | 7 | 9 | 48:38 | 49 |
| გრააფსხაპი | 30 | 11 | 6 | 13 | 43:49 | 39 |
| ბრედა | 30 | 10 | 9 | 11 | 39:45 | 39 |
| უტრეხტი | 30 | 6 | 14 | 10 | 36:40 | 32 |
| სპარტა | 29 | 9 | 5 | 15 | 33:43 | 32 |
| გრონინგენი | 29 | 7 | 11 | 11 | 34:50 | 32 |
| სიტარდი | 30 | 7 | 11 | 12 | 29:47 | 31 |
| ტილბურგი | 30 | 8 | 7 | 15 | 31:47 | 31 |
| ვოლენდამი | 30 | 7 | 10 | 13 | 29:50 | 31 |
| ნაიმეგენი | 30 | 5 | 10 | 15 | 29:55 | 25 |
| ვალვაიკი | 30 | 6 | 7 | 17 | 29:57 | 25 |
| აზ 67 | 30 | 5 | 7 | 18 | 24:41 | 22 |

## თურქეთი

31-ე ტური: გალათასარაი — ზეითუნბურნუ 4:0, ალთაი — ანთალია 2:1, დარდანელი — ქოჯაელი 3:2, გაზიანთეფი — ანკარაგიუჯიუ 3:2, დენიზლი — ვანსფორი 0:1, გენჩლერბირლიგი — ტრაბზონსფორი 1:1, ისთანბული — ბეშიქთაში 4:3, სარიერი — ფენერბაჰჩე 1:4, სამსუნი — ბურსა 2:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 31 | 2 | 7 | 2 | 80:27 | 73 |
| ფენერბაჰჩე | 31 | 20 | 7 | 4 | 67:21 | 67 |
| ბეშიქთაში | 31 | 19 | 8 | 4 | 78:25 | 65 |
| ტრაბზონი | 31 | 19 | 6 | 6 | 63:32 | 63 |
| ბურსა | 31 | 16 | 7 | 8 | 49:32 | 55 |
| გაზიანთეფი | 31 | 13 | 8 | 10 | 37:41 | 47 |
| ისთანბული | 31 | 13 | 7 | 11 | 48:40 | 46 |
| ქოჯაელი | 31 | 11 | 11 | 9 | 32:28 | 44 |
| სამსუნი | 31 | 11 | 9 | 11 | 42:45 | 42 |
| ანთალია | 31 | 12 | 6 | 13 | 37:43 | 42 |
| გენჩლერბირ. | 31 | 10 | 6 | 15 | 30:43 | 36 |
| ალთაი | 31 | 9 | 9 | 13 | 29:55 | 36 |
| ანკარაგიუჯიუ | 31 | 9 | 8 | 14 | 37:45 | 35 |
| დარდანელი | 31 | 9 | 6 | 16 | 32:57 | 33 |
| სარიერი | 31 | 8 | 7 | 16 | 38:50 | 31 |
| ვანსფორი | 31 | 7 | 7 | 17 | 24:48 | 28 |
| დენიზლი | 31 | 5 | 4 | 22 | 35:71 | 19 |
| ზეითუნბურნუ | 31 | 2 | 5 | 24 | 24:79 | 11 |

## საბერძნეთი

31-ე ტური: პანილიაკოსი — ოლიმპიაკოსი 0:5, აეკი — პაოკი 1:2, არისი — ოფი 1:2, კავალა — პანათინაიკოსი 0:4, იონიკოსი — კასტორია 5:1, ედესაიკოსი — ირაკლისი 3:4, ათინაიკოსი — აპოლონი 3:2, ქსანტი — ვერია 3:2, პანახაიკი — კალამატა 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 31 | 23 | 6 | 2 | 59:11 | 75 |
| აეკი | 31 | 20 | 6 | 5 | 71:25 | 66 |
| ოფი | 31 | 19 | 5 | 7 | 46:25 | 62 |
| პანათინაიკოსი | 31 | 18 | 3 | 10 | 50:24 | 57 |
| პაოკი | 31 | 16 | 9 | 6 | 40:27 | 57 |
| კავალა | 31 | 15 | 7 | 9 | 41:34 | 52 |
| პანილიაკოსი | 31 | 13 | 5 | 13 | 38:43 | 44 |
| იონიკოსი | 31 | 11 | 8 | 12 | 38:41 | 41 |
| ქსანტი | 31 | 10 | 9 | 12 | 48:48 | 39 |
| ირაკლისი | 31 | 11 | 6 | 14 | 40:48 | 39 |
| აპოლონი | 31 | 10 | 6 | 15 | 35:40 | 36 |
| ვერია | 31 | 9 | 8 | 14 | 29:31 | 35 |
| პანახაიკი | 31 | 8 | 11 | 12 | 27:35 | 35 |
| კალამატა | 31 | 8 | 10 | 13 | 31:50 | 34 |
| ათინაიკოსი | 31 | 9 | 7 | 15 | 33:54 | 34 |
| ედესაიკოსი | 31 | 7 | 7 | 17 | 36:54 | 28 |
| არისი | 31 | 7 | 10 | 14 | 28:46 | 28 |
| კასტორია | 31 | 1 | 5 | 25 | 12:66 | 8 |

## პორტუგალია

29-ე ტური: გიმარაეში — მარიტიმუ 0:1, ბენფიკა — რიუ ავე 0:0, ბრაგა — ფარენსე 2:1, ჟილ ვისენტე — ესპინიუ 1:0, პორტუ — ლეცა 2:1, სეტუბალი — ბოავიშტა 2:2, ლეირია — სპორტინგი 1:0, შავეში — ამადორა 1:0, ბელენენსეში — სალგეირუში 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 29 | 23 | 4 | 2 | 67:20 | 73 |
| სპორტინგი | 29 | 19 | 5 | 5 | 46:16 | 62 |
| ბენფიკა | 29 | 16 | 7 | 6 | 47:22 | 55 |
| ბრაგა | 29 | 14 | 7 | 8 | 37:38 | 49 |
| სალგეირუში | 29 | 13 | 9 | 7 | 42:37 | 48 |
| გიმარაეში | 29 | 13 | 6 | 10 | 47:41 | 45 |
| ამადორა | 29 | 11 | 9 | 9 | 34:30 | 42 |
| შავეში | 29 | 11 | 7 | 11 | 35:40 | 40 |
| ბოავიშტა | 29 | 8 | 13 | 8 | 46:34 | 37 |
| მარიტიმუ | 29 | 10 | 6 | 13 | 29:38 | 36 |
| ბელენენსეში | 29 | 9 | 9 | 11 | 34:44 | 36 |
| ლეცა | 29 | 9 | 7 | 13 | 32:37 | 34 |
| სეტუბალი | 29 | 8 | 9 | 12 | 33:40 | 33 |
| ფარენსე | 29 | 7 | 10 | 12 | 25:31 | 31 |
| ესპინიუ | 29 | 8 | 4 | 17 | 22:44 | 28 |
| რიუ ავე | 29 | 6 | 9 | 14 | 31:39 | 27 |
| ლეირია | 29 | 7 | 5 | 17 | 22:42 | 26 |
| ჟილ ვისენტე | 29 | 3 | 6 | 20 | 25:61 | 15 |

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისის** პრესის ცნობით, არაა გამორიცხული, კლინსმანი გაისად ლონდონის „ტოტენჰემში" გადავიდეს. გაზეთები იუწყებიან, რომ იურგენი ამ დღეებში იმყოფებოდა ლონდონში და „ტოტენჰემის" პრეზიდენტს ალან შუგარს შეხვდა. ინგლისში წასვლის შესაძლებლობა თავად კლინსმანმაც არ გამორიცხა.

**მალტის ჩემპიონატი მე-15-ედ მოიგო დედაქალაქის გუნდმა „ვალეტამ", ვინაც კვირას აუტსაიდერ „რაბატ აიაქსს" 5:2 სძლია.**

**ჩინეთის** ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის აზიის ზონის მე-8 ჯგუფში გამართულ შეხვედრაში 4:1 დაამარცხა თურქმენეთის ნაკრები, გუნდი, რომელსაც ქართველი ელგუჯა ბერიშვილი წვრთნის. ერთადერთი გოლი ექს-საბჭოელებმა 90-ე წუთზე გაიტანეს. იმავე ქვეჯგუფში ტაჯიკეთმა 4:0 გაანადგურა ვიეტნამი.

**სალვადორის გუნდმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ შეხვედრაში 2:1 მარცხი აწვნია ამავე ტურნირის 1990 წლის ფინალისტს კოსტა რიკას.**

**ნორვეგიელი** ტორე ანდრე ფლო, ვინაც თასების თასის მეოთხედფინალში „ბრანის" შემადგენლობაში „ლივერპულის" წინააღმდეგ ითამაშა, ლონდონის „ჩელსიში" გადავიდა. 23 წლის ფლო „ევერტონთან" აწარმოებდა მოლაპარაკებას, თითქმის მოგვარებულიც იყო მისი ლივერპულის კლუბში გადასვლის საკითხი, მაგრამ ბოლო წამს თავად „ევერტონმა" იუარა ფლოს შესყიდვა და ნორვეგიელი „ჩელსის" დარჩა. ტრანსფერის სავარაუდო ფასი 4 მილიონი დოლარია.

**არგენტინის უპოპულარულესი გუნდი „ბოკა ხუნიორსი" ჩემპიონატის მორიგ ტურში 0:2 დამარცხდა და 20 გუნდიან ჩემპიონატში მე-15 საფეხურზე ჩამოქვეითდა. „ბოკა ხუნიორსს" ამ მატჩში სამი მოთამაშე — ნესტორ დორენსო, დიეგო კანია და ნესტორ ფაბრი გაუძევეს.**

**იტალიის** „მილანი" დიდ ყიდვა-გაყიდვაშია. ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ კლუბმა გაუშვა სეზონის წინ შეძენილი ჰოლანდიელი მიხაელ რაიციგერი, თუმცა, რომელ გუნდს მიჰყიდა იგი, ამის გამხელა „მილანმა" არ ისურვა. კლუბის წარმომადგენელმა არიედო ბრეიდამ თქვა, შესაძლოა, უახლოეს მომავალში ფრანგ კრისტოფ დუგარისაც შეველიოთო. იმასაც ამბობდნენ, „მილანს" ბაჯოც ტოვებსო, მაგრამ კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ადრიანო გალიანიმ განაცხადა, რობერტოს გაყიდვა არც კი გვიფიქრიაო. დაირხა ხმები, რომ „მილანი" „მანჩესტერ იუნაიტედის" დევიდ ბექემითაა დაინტერესებული და მზადაა, ფეხბურთელში 15 მილიონი გირვანქა გადაიხადოსო. იტალიელთა მწვრთნელმა არიგო საკიმ დევიდი ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად მოიხსენია და თქვა: „კარგა ხანია მას ვაკვირდებით. ძლიერი მოთამაშე უნდა დადგეს. მანჩესტერელები ასე იოლად ვერ შეელევიან მას, მაგრამ ჩვენ საამისოდ ყველა ღონეს ვიხმართ. როცა სილვიო გულში რამეს ამოიჩრის, მის ასრულებას წინ ალარაფერი უდგას."

## რუსეთი

მე-8 ტური. ცსკა — ჩერნომორეცი 0:1, ლოკომოტივი — როტორი 0:1, ბალტიკა — შინიკი 1:1, ნ. ნოვგოროდი — ალანია 1:3, კრილია — ტორპედო 0:1, ზენიტი — სპარტაკი 0:0, როსტსელმაში — ჟემჩუჟინა 0:0, ტიუმენი — კამაზი 1:0, ფაკელი — დინამო 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როტორი | 8 | 5 | 2 | 1 | 11:4 | 17 |
| როსტსელმაში | 8 | 5 | 2 | 1 | 9:3 | 17 |
| დინამო | 8 | 5 | 1 | 2 | 19:3 | 16 |
| სპარტაკი | 8 | 4 | 3 | 1 | 13:4 | 15 |
| ტორპედო | 8 | 4 | 1 | 3 | 14:9 | 13 |
| ჟემჩუჟინა | 8 | 3 | 4 | 1 | 6:4 | 13 |
| ლოკომოტივი | 8 | 3 | 3 | 2 | 11:9 | 12 |
| ზენიტი | 8 | 3 | 3 | 2 | 6:4 | 12 |
| ჩერნომორეცი | 8 | 3 | 3 | 2 | 7:8 | 12 |
| ალანია | 8 | 3 | 1 | 4 | 13:9 | 10 |
| ბალტიკა | 8 | 2 | 4 | 2 | 5:5 | 10 |
| კრილია | 8 | 3 | 1 | 4 | 5:7 | 10 |
| შინიკი | 8 | 2 | 2 | 4 | 5:12 | 8 |
| ცსკა | 8 | 2 | 2 | 4 | 4:11 | 8 |
| ნ. ნოვგოროდი | 8 | 2 | 1 | 5 | 4:10 | 7 |
| ტიუმენი | 8 | 1 | 3 | 4 | 5:9 | 6 |
| ფაკელი | 8 | 2 | 0 | 6 | 2:8 | 6 |
| კამაზი | 8 | 2 | 0 | 6 | 5:16 | 6 |



# მხოლოდ კარი გავიჯახუნეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა



დევისის თასს მკაცრი წესი ჰქონია — შეჯიბრის მეორე დღეს, წყვილთა თანრიგის მატჩი აუცილებლად უნდა დაიწყოს, თამაში კი დაწყებულად ითვლება იმ შემთხვევაში, თუ მოასპარეზეთ ათი ხელი უკვე ჩამთავრებული აქვთ.

კორტზე ასი ლიტრი ბენზინი დაასხეს და ცეცხლი მოუკიდეს, ალი კედელზე გაკრულ დამცავ საფარს — ბურთის უკუგდებას რომ ანელებს — მისწვდა და 3 ათას დოლარად ღირებული ეს სპორტული ინვენტარი მთლიანად დაიბუგა. წვიმამ გადაიღო, კორტიც ნაწილობრივ გაშრა და კომისარმა წყვილებს უხმო. ვლადიმერ გაბრიჩიძე და მოთამაშე — კაპიტანი დავით კაჭარავა ბორუტ ურისა და მარკო პორის დუეტის წინაშე წარდგნენ.

შეიდს აკლდა თხუთმეტი წუთი, როცა პორმა პირველად მოაწოდა და გეიმიც მოიგო. შემდეგ ჩვენების ჯერი დადგა — სამჯერ ვიმარჯვეთ, მაგრამ მერე და მერე შეცდომებს ვუმატეთ და სტუმრები 4:5 დავაწინაურეთ. ამ მატჩს შაბათს დამთავრება არ ეწერა. 5:4-ზე წვიმამ დასცხო და რადგან ათი გეიმი უკვე ნათამაშევი იყო, კომისარმა თამაში მეორე დილის ათი საათისთვის გადადო.

მატჩი კვირას თაი-ბრეიქით განახლდა. წვიმა ახლა ძლიერმა ქარმა შეცვალა და ამიტომ საკმაოდ გრილოდა. სიცივემ და გადამწყვეტი გეიმის სიმძაფრემ გამოაფხიზლა დილაადრიან მოსული მაყურებელი, რომელმაც ქართველ ჩოგბურთელთა მხურვალე მხარდაჭერა არ დაიზარა, თუმცა ჩვენებს ვერც ამან უშველა. თაი-ბრეიქი 6:8 წავაგეთ, ხელი — 6:7.

გადამწყვეტი მეორე პარტია აღმოჩნდა. ვოვამ თავისი მოწოდება მოიგო, შემდეგ, პორის მოწოდებაზე სლოვენები ნოლზე დავტოვეთ, დათომაც იმარჯვა და ანგარიში 4:0 გახდა. თამაშის ამ მონაკვეთში ჩვენებს ყველაფერი გამოსდიოდათ, შეწყობილად ირჯებოდნენ და ყველა კომპონენტში სჯაბნიდნენ მეტოქეს. მაგრამ უეცრად ყველაფერი შეიცვალა, ქართველები აღელდნენ, შეცდომებმაც იმატა და შედეგმაც არ დააყოვნა. სტუმრებმა ზედიზედ ხუთი გეიმი მოიგეს და 5:6 დაწინაურდნენ. ქართველი სპორტსმენების არაეთიკური საქციელისთვის, რაც ჩოგნის სროლაში გამოიხატა, მსაჯმა ქულა სლოვენებს უბოძა და სეტიც მოაგებინა.

უნდა ითქვას, რომ ერთ დროს საკმაოდ ძლიერი კაჭარავა — გაბრიჩიძის წყვილის ორივე წევრი აქტიურ სპორტს უკვე ორ წელზე მეტია ჩამოშორდა და ჩვენი ჩოგბურთელები ინტენსიურად მხოლოდ დევისის თასისთვის მოემზადნენ. სწორედ სათამაშო პრაქტიკის უქონლობამ განაპირობა მათი მარცხი, თორემ ტექნიკურ-ტაქტიკური თვალსაზრისით ისინი არათუ ჩამოუვარდებოდნენ, არამედ მთელი თავით სჯობდნენ სლოვენებს. სტუმართა წყვილი კი სტაბილურად თამაშობდა, თუმცა, სლოვენ ჩოგბურთელებს ფანტაზია აშკარად ღალატობდათ.

მესამე პარტიაში ქართველებმა ძალები მოიკრიბეს, ნერვებიც მოთოკეს და თაი-ბრეიქი იოლად 7:2 მოიგეს. თუმცა, ეს იყო და ეს. მეოთხე თითქმის უბრძოლველად დავთმეთ და საერთო ანგარიშშიც სტუმრები დაწინაურდნენ.

მატჩის კომისარმა გვამცნო, შემდეგი შეხვედრა საათნახევრის შემდეგ გაიმართებაო. ეს დრო აკადემიის ტერიტორიაზე ხეტიალში და ირაკლი ლაბაძესთან საუბარში მოვკალი. როგორც ირაკლიმ მითხრა, მისი გამოუსვლელობის მიზეზი პრესკონფერენციაზე ნათქვამი ფეხის ტრავმა კი არა, ნაღვლის ბუშტის ანთება ყოფილა.

### გახსნა — დახურვა

დათქმული დრო გაეიდა და მეც პრესლოჟაში დავიკავე კუთვნილი ადგილი. თამაშამდე გახსნის ცერემონიალი გაიმართა, თავად თამაში კი ჩვენი იმედების დახურვა-დასამარება გამოდგა.

ცერემონია პომპეზურობით არ გამოირჩეოდა: გუნდები და მსაჯები კორტზე მოეწყვნენ, სტუმარ-მასპინძელ სპორტსმენთა ვინაობა გვამცნეს, შემდეგ ჰიმნებიც აჟღერეს, ჩოგბურთელებს ყვავილები მოართვეს და ბოლოს გახსნის ცერემონიალში მონაწილენი მარშით გააცილეს არენიდან.

**ვლადიმერ მარგალიტაძე**
**ბორუტ ური — 2:6, 2:6, 0:6**

მთელი იმედი მარგალიტაძეზე იყო, თუ იგი გაიმარჯვებდა, მატჩის მოგების შანსი გვეძლეოდა. ის კი არა, შესვენების დროს გაბრიჩიძემ დაიქადნა, თუ ვოვა მოიგებს, კაცი არ ვიყო, თუ ბოზიჩი არ დავამარცხოო...

თამაში დაიწყო და მეორე წრეში გასვლის ჩვენმა იმედმა თვალსა და ხელს შუა ქრობა იწყო. თუმცა მარგალიტაძეს იმ დღეს არ ეთამაშა, მაგრამ პირველი სეტის ბოლოს უკვე დაღლა დაეტყო — არასტაბილურად მოქმედებდა და შეცდომას შეცდომაზე უშვებდა. ურმა ორი საათით ადრე წყვილთა თანრიგში 40 გეიმზე მეტი ითამაშა და წესით უფლება ჰქონდა, ასპარეზობაზე უარი განეცხადებინა და შეხვედრა მეორე დღისთვის გადაედო, მაგრამ ეს არ ინება, როგორც ჩანს, თავის ძალებში დარწმუნებული იყო და სამართლიანადაც — მის სიძლიერეში, უფრო სწორად, მარგალიტაძის სისუსტეში მალე ტრიბუნაზე მსხდომი გათოშილი მაყურებელიც დარწმუნდა.

ურმა თანაგუნდელის მეთოდი ამჯობინა და პირველ დღეს მოთამაშე ბოზიჩის დარად, ისევ გადაგდებაზე ეთამაშა ჩვენებურს. მარგალიტაძეს იმ დროს მისდიოდა თამაში, როცა სლოვენი ვითარების გამწვავებას ცდილობდა, მაგრამ ტაქტიკური აზროვნების სიმწირის გამო არაზუსტად მოქმედებდა. მოკლედ, ნომერ პირველმა სლოვენმა ქართველი პირველი ჩოგნის დამარცხებით თავის ნაკრებს მატჩში გაამარჯვებინა.

### დედ-რაბერი
### (უფრო, ზრდილობის გულისთვის თამაში)

**ვლადიმერ გაბრიჩიძე**
**ანდრეი კრასევეცი 4:6, 7:6, 6:2**

კვირის მესამე შეხვედრამ სპორტული თვალსაზრისით ყოველგვარი მნიშვნელობა დაკარგა — იგი ალარაფერს წყვეტდა, მაგრამ ბრძოლის ჟინი მაინც დარჩა — არავის სურდა სლოვენთა ერთხელ მაინც დაუმარცხებლად შინ გაშვება. თავისი უმნიშვნელობის გამო შეხვედრა ორ მოგებამდე წარიმართა.

სლოვენთა კაპიტანმა ბორის ბრესკვარმა ძირითადი მოთამაშეები დაასვენა და კორტზე 18 წლის ცაცია გამოიყვანა. ჩვენმა გუნდმა მასთან თამაში დაღლილ, მაგრამ გამარჯვების წყურვილით სავსე ვოვა გაბრიჩიძეს მიანდო.

კრასევეცმა კარგად დაიწყო და სამ გეიმში ზედიზედ იმარჯვა კიდეც. ეს მან უძლიერესი მოწოდებებისა და დარტყმების წყალობით შეძლო, თუმცა, ნათელი იყო, რომ მალე ძალა გამოელეოდა, ურომლისოდაც კაპიკი იყო ნორჩი სლოვენის ფასი. ასეც მოხდა, გაბრიჩიძემ პირველი პარტია კი დათმო, მაგრამ შემდეგ მეტოქის გამოუცდელობით ისარგებლა და მეორე ხელის თაი-ბრეიქი იოლად 7:2 მოიგო.

ვოვა ტექნიკური ილეთებით და მოჭრილი დარტყმებით თავგზას უბნევდა ჭაბუკ მეტოქეს, რომელიც ყოველ შეცდომას ძალზე განიცდიდა და კაპიტანს დამნაშავე ბავშვივით შეჰყურებდა. ბრესკვარი მას აგულიანებდა — ყველაფერს სწორად აკეთებ, კარგად თამაშობ, ასე გააგრძელეო. იმდენი აგულიანა, სანამ ვოვამ სლოვენი მესამე სეტში არ დაანგრია. სტუმრის ტექნიკურ სიმწირეზე ისიც მეტყველებს, რომ მან დამოკლებულ-მოჭრილი დარტყმა ოდენ მეორე პარტიის ბოლოს შეასრულა, რამაც მაყურებელი ძლიერ გაახალისა. ისე, კრასევეცი კარგი და მონდომებული ბიჭი ჩანდა, უძლიერესი დარტყმით. ამას რომ ცოტა ჭკუა მისცა, ურიგო ჩოგბურთელი არ იქნებოდაო, თქვა კიდეც ერთ-ერთმა ტრიბუნაზე მჯდომმა.

თამაშის შემდეგ კრასევეცს აზრის გამოთქმა ვთხოვე. „თავიდან კარგად დავიწყე მაგრამ შემდეგ ავირიე, რაშიც მეტოქეც „დამეხმარა" და საბოლოოდ დავმარცხდი. ეს, ალბათ, ჩემი გამოუცდელობის ბრალია, დევისის თასზე ხომ პირველად ვითამაშე" — მითხრა ანდრეიმ.

პრესკონფერენცია გამარჯვებულთა კაპიტანმა შორს დაიჭირა — ჯერ სამუშაო მაქვს, შემდეგ კი ოფიციალური ბანკეტი, კითხვა-პასუხისთვის სად მცალიაო. მეც ავდექი და ჩემი „ძველი მეგობარი", ვიცე-კაპიტანი ანდრეი ჯერასი მოვიხელთე.

„საინტერესო და დაძაბული მატჩი იყო, ქართველმა ჩოგბურთელებმა კარგი შთაბეჭდილება დატოვეს, ვფიქრობ, დამსახურებულად გავიმარჯვეთ, თუმცა, ამას იღბალსაც უნდა ვუმადლოდეთ" — მოგვიქონა თავი სლოვენმა.

**ერეკლე ქიქილაშვილი**



ური და პორი ერთმანეთს ულოცავენ

# ვითა წელსაც ჩემპიონია, რა იქნება შემდეგ?

ვერის ბაღი. 3 მაისი.
საქართველოს ჩემპიონატის
მეორე ფინალური მატჩი

**ვითა — დინამო 102:94**

**ვითა:** თორთლაძე (13), კოკოლიშვილი (3), ჩხეიძე (11), ნაცვლიშვილი (12), ბერუაშვილი (12); სანაძე (17), ტურაშვილი (5), ორმოცაძე (2), ქარაბაკი (27)

**დინამო:** მაისურაძე (11), ხოშტარია (24), ცხვედიანი (16), ბეჟანიშვილი (18), მაჭარაძე; ვაშაკიძე (11), სხიერელი, კილაძე (8), ოთიურიძე (6)

**მსაჯები:** მაჩალაძე, მოლოდინაშვილი

დინამოელებმა, რა თქმა უნდა, გაითვალისწინეს პირველი მატჩის გამოცდილება და ნაცვლიშვილს სათანადო ყურადღება დაუთმეს. ამჯერად სასტარტო ხუთეულში მაჭარაძე გამოვიდა და სწორედ მას დაევალა ნაცვლიშვილის მეურვეობა. ბეჟანიშვილი კი, რადგან ამ ფუნქციისგან განთავისუფლდა, უფრო აქტიური უნდა ყოფილიყო თავდასხმაში. საპასუხოდ, „ვითამ“ აქცენტი შეცვალა და ნაცვლიშვილი მთავარი დამრტყმელი ძალით, უფრო თანაგუნდელებისთვის ხელსაყრელი სიტუაციების შემქნელ მოთამაშედ წარმოგვიდგა. „ვითა“ სწრაფად გავიდა წინ, თუმცა ცხვედიანის ორი ჩინებული შეტევის წყალობით ანგარიში მალევე გათანაბრდა 6:6. ამის შემდეგ ჩხეიძემ, ბერუაშვილმა და თორთლაძემ ითამაშეს კარგად და ვითელები უცებ ისევ გვარიანად დაწინაურდნენ. ამ პერიოდში მათ ხოშტარია აღუდგა წინ და მისი შესანიშნავი თამაშის წყალობით მე-6 წუთზე ანგარიშში სხვაობა საგრძნობი აღარ იყო 15:12 „ვითას“ სასარგებლოდ. ამასობაში ნაცვლიშვილთან მებრძოლმა მაჭარაძემ უკვე მეოთხე პერსონალური მიიღო და მოსეშვილმა იგი კილაძით შეცვალა. ამ დროს ლიპარტელიანმაც მისცა ნაცვლიშვილს დასვენების საშუალება და მის მაგივრად ქარაბაკი გამოვიდა. ლევანმა შემოსვლისთანავე თორთლაძის ჩინებული პასი გამოიყენა და მე-10 წუთზე „ვითა“ ათი ქულით დაწინაურდა 28:18. შემდგომ ხოშტარიამ და ბეჟანიშვილმა კვლავ აიყოლიეს დინამოელები და ცხვედიანის სამქულიანის შემდეგ სხვაობა კვლავ შემცირდა 40:36. სამქულიანები ასე არ უნდაო და, ახლა ვითელმა სანაძემ გამოიღო ხელი, მისი ტყორცნების სიზუსტე კი ყველას კარგად მოეხსენება. ქარაბაკის ჩატენვის შემდეგ „ვითა“ 11 ქულითაა წინ 49:38.

თერთმეტი ქულა საკმაო სხვაობაა, მაგრამ „დინამომ“ ამ სხვაობის გაბათილებისთვის ბრძოლა მეორე ნახევრისთვის არ გადადო და ტაიმის ბოლოს შესანიშნავად ითამაშა. ეს უპირველესად მაისურაძის და განსაკუთრებით ხოშტარიას დამსახურებაა, რომელთაც მართლაც რომ ცეცხლი დაანთეს მოედანზე და გუნდებს შესვენებისთვის ექვსი ქულაღა აშორებდა — 56:50 ჩემპიონის სასარგებლოდ.

მეორე ტაიმი ისევ დინამოელთა უპირატესობით დაიწყო. ბეჟანიშვილის სროლისა და ცხვედიანის ჩინებული გარღვევის შემდეგ „დინამომ“ ანგარიში გაათანაბრა. ქარაბაკის ჩატენილმა ბურთმა კვლავ გამოაფხიზლა ვითელები და ბერუაშვილმა და სანაძემ აღადგინეს სტატუს-ქვო. თუმცა, ხოშტარიას შესანიშნავი თამაშის წყალობით „დინამო“ კვლავ კუდში მისდევს „ვითას“ 62:63. ამ დროს ნაცვლიშვილი მეოთხე პერსონალურს იღებს. კილაძე კი პირველად აწინაურებს „დინამოს“ — 64:63. თამაში კარგა ხანს ქულაქულაში მიდის: კოკოლიშვილს მაისურაძე პასუხობს, თორთლაძეს ისევ მაისურაძე. დინამოელებს გადამწყვეტი უპირატესობის მოპოვება სურთ, კილაძე შეტევისას ფარიდან ასხლეტილი ბურთის წართმევას ცდილობს და ჯარიმდება. იგი აპროტესტებს მსაჯების გადაწყვეტილებას და ტექნიკური შენიშვნითაც ჯარიმდება. ვითელებმა ოთხი ჯარიმის ტყორცნის უფლება ქარაბაკს მიანდეს და იგიც ოთხჯერვე ზუსტი იყო. ამან დინამოელები ოდნავ შეაცბუნა, რითაც ისარგებლეს ჩხეიძემ და ნაცვლიშვილმა და სხვაობა გაზარდეს. დინამოელები უცებვე მოეგნენ გონს და ფინალს ყველა თავისი ღირსება შეუნარჩუნეს — ისევ თავგამოდებით ეცადნენ ვითელთა დაწევას. აქ უკვე ლევან ქარაბაკმა თქვა თავისი სიტყვა და მისმა შესანიშნავად, ფართან რამდენიმე კაცთან ბრძოლაში ჩაგდებულმა ბურთებმა ვითელებს უპირატესობა შეუნარჩუნა. სანაძის სამქულიანისა და ქარაბაკის ზუსტი ტყორცნის შემდეგ 2,22 წამით ადრე ანგარიშია 93:84 ვითელთა სასარგებლოდ. მათგან ხუთი პერსონალურის გამო მოედანს ქარაბაკი და ჩხეიძეც ტოვებენ. მაგრამ ვითელებს საკმაოდ გრძელი სკამი აქვთ საიმისოდ, რომ უპირატესობა ხელიდან არ გაუშვან. თუმცა „დინამო“ ბოლომდე იბრძვის. ხოშტარია წარმოუდგენელ ბურთს ათავსებს კალათში. მას ტურაშვილი უპასუხებს. დინამოელებს დრო აღარ ჰყოფნით და პრესინგზე გადადიან, მაგრამ თორთლაძისთვის ბურთის წართმევა ძნელია. მასთან ბრძოლაში ხან ერთი, ხან მეორე დინამოელი ჯარიმდება და დავითიც უშეცდომოდ იყენებს საჯარიმოებს. „დინამო“ კი მაინც არ ნებდება, თუმცა ვითელებს ბოლომდე მიჰყავთ საქმე. ბოლო წუთზე დინამოელები ჯარიმდებიან და ორმოცაძე საჯარიმოებით აფიქსირებს საბოლოო ანგარიშს მეორე ფინალურ მატჩში — 102:94. „ვითა“ მეხუთედ ხდება საქართველოს ჩემპიონი!




გოჩა [illegible] ფოტო

**ირაკლი ხოშტარიამ ბრწყინვალედ ითამაშა, მაგრამ ვითას ჩემპიონობაში ხელი ვერ შეუშალა**

ლევან მოსეშვილმა და „დინამოს“ მოთამაშეებმა პირველებმა მიულოცეს ვითელებს გამარჯვება. მერე მათ გუნდის ყველა კეთილისმსურველი შეუერთდა. ვითელებიც იღებდნენ მილოცვებს, თუმცა მათი მწვრთნელის ბესიკ ლიპარტელიანის სიხარულს სევდაც ახლდა.

ბესიკ ლიპარტელიანი: „ჩვენ უნდა გაგვემარჯვა და მოვიგეთ კიდეც. თუმცა, ალბათ, ეს გუნდის უკანასკნელი გამოსვლაა ამ შემადგენლობით, რადგან 6-7 მოთამაშე გუნდის დატოვებას აპირებს და ჩვენ ამას წინ ვერ აღვუდგებით. ვინ სად წავა, ეს, ალბათ, ერთ თვეში გაირკვევა“.

მართლაც სამწუხაროა, თუ ეს გუნდი აღარ იქნება. თუმცა, როგორც „ვითას“ პრეზიდენტმა თემურ დათიკაშვილმა თქვა, ის გუნდის დაშლას არ მოასწავებს. „ვითა“ ახალგაზრდა კალათბურთელებით შეივსება და კვლავაც ეცდება თავისას.

თუმცა, ნაღვლიანზე სხვა დროს ვილაპარაკოთ, დღეს კი გვინდა წარმოგიდგინოთ ის მოთამაშეები, რომლებმაც წაუგებლად გაიარეს მთელი სეზონი და „ვითა“ მეხუთედ გახადეს ჩემპიონი.

**დუდუ დადიანი** — კაპიტანი. დუდუმ ცოტა ითამაშა საქართველოს ჩემპიონატში, მაგრამ ძალზე კარგად გამოვიდა ევროტურნირში და ნაკრების შემადგენლობაშიც. დუდუ ის მოთამაშეა, ვისაც არცერთი გუნდის წინაშე არაა აქვს შიში და, მიუხედავად იმისა, როგორ წაუვა თამაში, არასოდეს ჰყრის ფარ-ხმალს. ეს კი გუნდზე ყოველთვის კარგად მოქმედებს. შედეგიანი მოთამაშეა და მშვენივრად თამაშობს დაცვაში, რაც დღევანდელ კალათბურთში დიდად ფასობს.

**დავით უსტიაშვილი** — „ვითას“ გამთამაშებელი. მშვიდია და არასოდეს კარგავს საღი აზროვნების უნარს. მას ყველაზე უფრო ძალუძს თამაშის დამშვიდება. თუმცა საერთაშორისო დონეზე საასპარეზოდ, ალბათ, შორიდან ტყორცნები უნდა გაიუმჯობესოს.

**დავით თორთლაძე** — თორთლაძეს, პირიქით, ყველაზე უკეთ შეუძლია მოედანზე ცეცხლის დანთება. მისი არაჩვეულებრივი შესვლები და პასები ძალზე კარგი სანახავია. თუმცა მისი პოტენციის კალათბურთელისგან ყოველთვის უფრო მეტს ელიან.

**მამუკა ტურაშვილი** — მამუკამ მთელი ჩემპიონატი ითამაშა და თანაც ისე, რომ გუნდს არ დასტყობია თორთლაძისა და უსტიაშვილის არყოფნა ზოგ თამაშში. საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესოა სამქულიან ტყორცნებში. ყოველთვის სწორ გადაწყვეტილებას იღებს. თუ ნერვებს არ აჰყვა, თამაშის სადავეები ხელთ უპყრია.

**რეზო ჩხეიძე** — მაღალი დონის უკანახაზელი მოთამაშე დადგა. დადიანთან ერთად ერთ-ერთი საუკეთესო მცველია. მისი სწრაფი გასვლები და შორეული ტყორცნებიც დიდად ადგება გუნდს. ჩემპიონატში ძალზე სტაბილურად ითამაშა, თუ ამასვე მიაღწევს საერთაშორისო ასპარეზზე, მისგან დიდი ოსტატი დადგება.

**გია სანაძე** — საქართველოს ჩემპიონატში ცოტა ითამაშა, მაგრამ ჩინებულად ჩაატარა შეხვედრები საერთაშორისო ასპარეზზე. კარგის მეტი რა უნდა ითქვას გიაზე, რომელიც კვლავ საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერია. მისმა სამქულიანებმა ხომ ბევრი გუნდი გაამწარა.

**ნოდარ კოკოლიშვილი** — ძალზე სტაბილური მოთამაშეა, რომელსაც კარგად დაყენებული შორეული სროლაც აქვს. წელს პირველად ითამაშა ნაკრებში, თუმცა, იქ დასამკვიდრებლად კიდევ მართებს თამაშის გაუმჯობესება.

**ამირანი ორმოცაძე** — ჩემპიონატის პირველი ნახევარი ბევრად უკეთ წარმართა. მეორე ნახევარში, როცა „ვითამ“, ასე თუ ისე, სრული შემადგენლობით დაიწყო თამაში, ცოტა ხანს იყო მოედანზე და ამიტომ თავის გამოჩენისთვის უფრო მცირე დრო ჰქონდა. ძლიერია ფარქვეშ ბრძოლაში.

**ვახტანგ ნაცვლიშვილი** — მართლაც უნიჭიერესი კალათბურთელია. ჩემპიონატში მასზე შედეგიანი კალათბურთელებიც იყვნენ, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ „ვითას“ მისი დახმარება განსაკუთრებით არ სჭირდებოდა. იქ სადაც ასეთი სიტუაცია იქმნებოდა, ნაცვლიშვილი მართლაც შეუდარებელი იყო. საერთაშორისო ასპარეზზეც დაამტკიცა, რომ ბევრი შეუძლია. მისი მაღალი ნახტომები და დაფარებები მართლაც შესანიშნავი სანახავია.

**ლევან ქარაბაკი** — იგი, ნაცვლიშვილის არ იყოს, ჩვენი კალათბურთის იმედია. ძალზე ძლიერია ფარქვეშ და სამქულიანი ტყორცნებიც შეუძლია. ქარაბაკის სახით საქართველოს ნაკრებს კარგა ხანს ეყოლება ერთ-ერთი ლიდერი.

**მიხეილ ბერუაშვილი** — გუნდის დებიუტანტი. შარშან გადმოვიდა რუსთავის „ქიმიკოსიდან“, სადაც ლიდერი იყო. შენგელიას გადმოყვანის გამო, ფაქტობრივად, გუნდის ერთადერთ ცენტრად დარჩა. იგი გუნდის ერთ-ერთი ყველაზე სასარგებლო მოთამაშე იყო. და კიდევ ერთი, რაც არ შეიძლება, არ აღინიშნოს: ბერუაშვილი იყო ის, შესაძლოა, ერთადერთი მოთამაშე საქართველოს ჩემპიონატში, ვინც ღირსეულად ხვდებოდა მსაჯის გადაწყვეტილებას, რაც არ უნდა არასახარბიელო ყოფილიყო იგი მისთვის.

**კახაბერ შენგელია** — ჩემპიონატის დაწყებამდე გუნდის ძირითადი ცენტრი. შემდეგ ეს ფუნქცია ბერუაშვილს დაეკისრა. ეს წელი კახასთვის უიღბლო იყო, იგი ძალზე შეაწუხა წელის ტკივილმა. მაგრამ იმ მატჩებში, რომლებშიც ითამაშა, გუნდს საკმაოდ დიდი სარგებელი მოუტანა და ზოგიერთ საერთაშორისო მატჩებში (შინაურზე აღარას ვამბობთ) გუნდის ლიდერიც იყო.

**მიხეილ კობეშავიძე** — გუნდის ყოფილი კაპიტანი, რომელმაც შარშანდელი წელი და თითქმის მთელი წლევანდელი სეზონიც გამოტოვა ფეხის ტრავმისა და ოპერაციის გამო. გუნდს მხოლოდ ბოლო თამაშებში დაუბრუნდა. მართალია, ჯერ ბოლომდე ვერ აღიდგინა ფორმა, მაგრამ ამასაც შეძლებს, რადგან მისი ოსტატობა და თანაგუნდელებთან ურთიერთობის უნარი გუნდს ძალიან სჭირდება.

**კონსტანტინე ტუღუში** — მართლაც ძნელია იმ გუნდში თამაში, რომლის ყველა წევრი ავტორიტეტს წარმოადგენს ქართულ კალათბურთში, მაგრამ კოტეს თავი არაფრით შეურცხვენია. ყოველთვის აკეთებდა თავის საქმეს.

**ბესიკ ლიპარტელიანი** — „ვითას“ უფროსი მწვრთნელი, რომელმაც გუნდთან ერთად გაიარა ჭირი და ლხინი, მასთან ერთად გაიზარდა, როგორც მწვრთნელი. „ვითას“ დღევანდელი დონე სწორედ მისი გულის, ნერვების და აზროვნების ნაყოფია. ლიპარტელიანს არაჩვეულებრივად შეუძლია ადამიანებთან ურთიერთობა და ეს ნიჭი იმის საფუძველი იყო, რომ უკეთეს პირობებში იგი დიდ გუნდსაც დააყენებდა. მაგრამ, სამწუხაროდ, „ვითადან“ მოთამაშეები მიდიან, თუმცა მწვრთნელს შეუძლია თავისი იდეები ნაკრებში განახორციელოს.

**ვაჟა მხეიძე** — „ვითას“ მეორე მწვრთნელი. იგი არც თუ ისე ხნოვანია, მაგრამ 25-წლიანი სტაჟი აქვს დიდ კალათბურთში. თვად წარმოიდგინეთ, რაოდენ დიდი გამოცდილების გადაცემა შეუძლია მას გუნდისთვის და რა დიდი გავლენა აქვს მოთამაშეებზე, რომლებთანაც ადამიანური ურთიერთობის დამყარების უნარში ცოტა თუ შეეჯიბრება.

**თემურ დათიკაშვილი** — „ვითას“ პრეზიდენტი. არ შეიძლება მადლობა არ ვუთხრათ ამ ახალგაზრდა კაცს მაშინ, როცა საქართველოში ბევრი ბიზნესმენი მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს. დათიკაშვილმა ქართული კალათბურთის ქომაგობა იტვირთა და მისი მეცადინეობით ჩამოყალიბდა შესანიშნავი გუნდი — „ვითა“.

**ქოტე მგალობლიშვილი**



## მსოფლიოს ჩემპიონატი

2 მაისი.

**„A“ ჯგუფი. საფრანგეთი — გერმანია 2:1, ფინეთი — სლოვაკეთი 5:2.**

**„B“ ჯგუფი. ლატვია — შვედეთი 1:1, იტალია — ნორვეგია 2:2.**

ჩემპიონატის ფავორიტებმა შეავსეს თავიანთ შემადგენლობაში დარჩენილი ვაკანსიები. მასპინძლებს ნჰლ-ელებისგან მხოლოდ ფინიქსის მცველი ნუმინენი მოუვიდათ, 2 ადგილი კი ევროპაში მოთამაშეებმა დაიჭირეს. რუსებს ოტაველი იაშინი შემატათ, ჩეხებთან თამაშის მერე კი 3 მოთამაშე მოისაკლისეს ტრავმების გამო. აშშ ერთ-ერთი საუკეთესო ახალბედით, სენტლუისელი კემპბელით შეივსო, ტორონტოელი სუნდინის ლოდინით თავგაბეზრებულმა შვედებმა კი სუპერვარსკვლავის მოგვარე და ლინდბლომი შეიყვანეს განაცხადში.

კვლავ ქების ღირსია ლატვიის გუნდი. შვედებთან მატჩის შედეგს მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, მაგრამ ბალტიისპირელები ბოლომდე ინარჩუნებდნენ მინიმალურ უპირატესობას და მხოლოდ იონსონის დარტყმამ იხსნა ფავორიტები მარცხისგან.

ფრანგმა დიუბემ ორი გოლი გაუტანა გერმანელებს და 5 შაიბით დაწინაურდა სნაიპერთა დავაში.

იტალიელებთან ნორვეგიელებმა მატჩის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე გაათანაბრეს ანგარიში.

ცენტრალურმა შეხვედრამ ფინალური ეტაპის კიდევ ერთი მონაწილე გამოავლინა. მასპინძლებმა სძლიეს სლოვაკებს.

3 მაისი

**„A“ ჯგუფი. ჩეხეთი — საფრანგეთი 9:3, გერმანია — სლოვაკეთი 1:0, ფინეთი — რუსეთი 7:4.**

**„B“ ჯგუფი. კანადა — იტალია 6:0, ლატვია — ნორვეგია 6:3, შვედეთი — აშშ 3:1**

კანადა — იტალიის შეხვედრაში, რომელსაც ბოლო ფინალისტის ვინაობა უნდა გაერკვია, ევროპელებს უეჭველი გამარჯვება სჭირდებოდათ. პროფესიონალებმა შანსი არ დაუტოვეს მეტოქეს.

ლატვიელებმა ლამაზად მოუგეს ნორვეგიელებს და, როგორც ჩანს, მყარად დამკვიდრდებიან უმაღლეს დივიზიონში.

სლოვაკეთის ნაკრები, რომელიც აქამდე ურიგოდ არ გამოიყურებოდა, გერმანიას ვერ გაუმკლავდა.

ჩეხები არასერიოზულად მოეკიდნენ საფრანგეთთან მატჩს და პირველ პერიოდში საკადრისიც მიიღეს, მაგრამ შემდეგ დაწინაურებულ მეტოქეს ზედიზედ შვიდი შაიბა შეუგდეს. მარტინ პროჰაზკა 7 (5+2) ქულით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

შვედებმა ერთობ უფერულ აშშ-ის ნაკრებთან კარგა ხანს ვერაფერი მოახერხეს, მაგრამ კლასმა მაინც გაიტანა თავისი — არვედსონმა (1+1) და მცველმა ოლუნდმა ორ წუთში შეაგდეს და გადამწყვეტ ეტაპზე ორი ქულა მოუტანეს გუნდს.

ფინეთ — რუსეთის მატჩი პირველობაზე საუკეთესო იყო. რუსებმა მატჩის დაწყებისთანავე ხელთ იგდეს ინიციატივა და პირველად ამ ჩემპიონატზე და დალაგებული თამაში აჩვენეს. მეორე პერიოდში 4:2 დაწინაურებას ისინი ბრწყინვალედ მოთამაშე იაშინს (1+1) უნდა უმადლოდნენ, შემდეგ დაღლა დაეტყოთ და ეს ჯერ ახალგაზრდა ოიკინენმა (1+1), შემდეგ კი ოინენმა, კოივუმ და ნიემინენმა გამოიყენეს.

**სამველ ლარიბიანი**

A ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 4 | 0 | 1 | 18:9 | 8(2) |
| ფინეთი | 4 | 0 | 1 | 25:9 | 8(2) |
| რუსეთი | 3 | 1 | 1 | 19:16 | 7(2) |
| სლოვაკეთი | 1 | 1 | 3 | 10:14 | 3(2) |
| საფრანგეთი | 1 | 0 | 34 | 13:26 | 2(2) |
| გერმანია | 1 | 0 | 4 | 4:15 | 2(2) |

B ჯგუფი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 4 | 1 | 0 | 20:8 | 9(4) |
| კანადა | 3 | 1 | 1 | 23:11 | 7(2) |
| აშშ | 3 | 0 | 2 | 14:15 | 6(0) |
| ლატვია | 1 | 2 | 2 | 18:17 | 4(2) |
| იტალია | 1 | 1 | 3 | 12:21 | 3(3) |
| ნორვეგია | 0 | 1 | 4 | 7:22 | 1(1) |

ფრჩხილებში მითითებულია ქულათა რაოდენობა, რომლებითაც გუნდები მეორე ეტაპს დაიწყებენ. ჯგუფებში გამარჯვებული სამეულები პირველ — მე-6, ხოლო მეორე სამეულები — მე-7 — მე-12 ადგილს გაითამაშებენ.

## NHL. სტენლის თასი

### ნიუ ჯერზი 1-1 რეინჯერზი

**ნიუ ჯერზი — რეინჯერზი 2:0. შაიბები: ნიდერმაიერი, მაკლინი (2:0)**

**ნიუ ჯერზი — რეინჯერზი 0:2. შაიბები: ლიჩი (0:1), კურტნოლი (0:2)**

პირველ შეხვედრაში „ეშმაკებმა“ გასაქანი არ მისცეს ნიუ იორკის განთქმულ ფორვარდებს და ბროდოს ზედიზედ მეორე „მშრალი“ მატჩის ჩატარება არ გასჭირვებია. მაგრამ წლევანდელი რეინჯერზი მეტად შეუპოვარია და მარცხის შემდეგ თითქოს ძალა ემატება. მეორე მატჩი მთლიანად „რეინჯერებისა“ იყო — ლიჩმა გოლი გრეცკის ბრწყინვალე პასის შემდეგ გაიტანა.

### კოლორადო 2-0 ედმონტონი

**კოლორადო — ედმონტონი 5:1. შაიბები: ლეკრუა (1:0), ლემიე (1:0), ბუკბერგი (2:1), ფორსბერგი (3:1), ოზოლინში (4:1), ფორსბერგი 4 (5:1)**

**კოლორადო — ედმონტონი 4:1. შაიბები: იანგი (1:0), უეიტი (1:1), კამენსკი (2:1), ლემიე (3:1), კორიბე (4:1)**

ორივე მატჩის ბედი, ფაქტობრივად, კამენსკი-ფორსბერგი-ლემიეს სამეულმა გადაწყვიტა. ლემიე 7 შაიბით საუკეთესო სნაიპერი გახდა. მას არც საკუკი ჩამორჩება, ვინც 16 (3+13) ქულით ბომბარდირებს თავკაცობს. ორ მატჩში „ეველანშმა“ ერთადერთხელ მისცა მეტოქეს შანსი, როდესაც დუეიტმა მეორე შეხვედრაში გაათანაბრა ანგარიში, მაგრამ ათიოდე წუთში კამენსკიმ (6) და ლემიემ ყველაფერს თავის ადგილი მიუჩინეს.

### დეტროიტი 2-0 ანაჰაიმი

**დეტროიტი — ანაჰაიმი 2:1. შაიბები: კარია (0:1), ფიოდოროვი (1:1), ლაპოინტი (2:1)**

**დეტროიტი — ანაჰაიმი 3:2**

გადამწყვეტი გოლი კოზლოვმა გაიტანა. ანაჰაიმი ნამდვილად იმსახურებდა ერთ მოგებას მაინც, მაგრამ ოვერტაიმებში გაშვებულმა შაიბებმა ამის საშუალება არ მისცა. ამჯერად დეტროიტმა კარია-სელიანეს დუეტიც საიმედოდ ჩაკეტა. ყველაზე რეალური დასავლეთში კოლორადო — დეტროიტის შარშანდელი ფინალის განმეორებაა.

### ბუფალო 0-1 ფილადელფია

**ბუფალო — ფილადელფია 3:5. შაიბები: გროშეკი (1:0), მეი (2:0), კორდიკი (2:1), ოდეტი (3:1), რენბერგი (3:2), ბრინდამორი (3:3), ვოდინი (3:4), ბრინდამორი (3:5).**

ბუფალოელები ლამის უკვე აღარაფ თვლიდნენ ჰაშეკის არყოფნას, მაგრამ მისმა შემცვლელმა შილდზმა მატჩის დამთავრებამდე 48 წამით ადრე პოდეინის სუსტი დარტყმა ვერ მოიგერია. არადა, თამაში თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა და თავიდან მასპინძლები წინ იყვნენ — 3:1. ფილადელფიელმა ბრინდამორმა ზედიზედ მეორე დუბლი გააკეთა. აღსანიშნავია, რომ მათ კარსაც მეორე მეკარე — სნოუ იცავდა.

**სამველ ლარიბიანი**

## მოტოციკლი



# მონარქი ემბორა

ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი მოტორბოლის იმოტოლა ტრფიალია, რომ როცა მისმა ქვეშევრდომმა ალექს კრივიემ მისივე ქვეყნის დიდი პრიზი მოიგო, მონარქი აცრემლებულ გამარჯვებულს გადაეხვია.

მსოფლიო პირველობის III ეტაპი

### ესპანეთის დიდი პრიზი

4 მაისი. ხერესი

**500 კუბ. სმ**

1. ალექს კრივიე (ესპანეთი, ჰონდა); 2. მაიქლ დუენი (ავსტრალია, ჰონდა); 3. ტადაიუკი ოკადა (იაპონია, ჰონდა); 4. ტაკუმა აოკი (იაპონია, ჰონდა); 5. ნობუაცუ აოკი (იაპონია, ჰონდა); 6. დორიანო რომბონი (იტალია, აპრილია); 7. ნორიფუმი აბე (იაპონია, იამაჰა); 8. ალექს ბარუში (ბრაზილია, ჰონდა)
სასტარტო განლაგება: ოკადა, დუენი, კრივიე, ნ. აოკი; ალბერტო პუჩი (ესპანეთი, ჰონდა), კარლოს ჩეკა (ესპანეთი, ჰონდა), ლუკა კადალორა (იტალია, იამაჰა), ტ. აოკი
3 ეტაპის ჯამი: დუენი 70 ქულა; კრივიე 65; ოკადა და ნ. აოკი 38; ტ. აოკი 37

კრივიე ვარჯიშზე დაეცა, საუკეთესო დრო კი პუჩს ჰქონდა. კვალიფიკაციაში წინა ეტაპების დარად ოკადამ ყველას აჯობა და პოული მოიპოვა.

სტარტიდანვე კრივიე წინ გაიჭრა და ფინიშამდე ახლოსაც არავინ გაიკარა. ჩეკა V წრეზე გავარდა. მალე მას პუჩიც მიყვა. დუენი გვარიანად ჩამორჩა, მაგრამ ბოლო წრეზე ოკადას მაინც გადაუსწრო და ჩემპიონატის ლიდერობა შეინარჩუნა.

**250 კუბ. სმ**

1. რალფ ვალდმანი (გერმანია, ჰონდა); 2. ტეცუია ჰარადა (იაპონია, აპრილია); 3. მაქს ბიაჯი (იტალია, ჰონდა). განლაგება: ვალდმანი, ჰარადა, ლორის კაპიროსი (იტალია, აპრილია), ბიაჯი. 3 ეტაპის ჯამი: ჰარადა 56; ბიაჯი 50; ვალდმანი 49

ჩემპიონი ბიაჯი ტრეკიდან გადავიდა და ერთი პირობა 24-ე იყო, მაგრამ პოდიუმზე მაინც მოხვდა. პირველსავე მოსახვევში კაპიროსი და ტოჰრუ უკავა (იაპონია, ჰონდა) ერთმანეთს დაეჯახნენ. ჰოდა, ვალდმანმა იოლად გაიმარჯვა.

**125 კუბ. სმ**

1. ვალენტინო როსი (იტალია, აპრილია); 2. ნობორუ უედა (იაპონია, ჰონდა); 3. ხორხე მარტინესი (ესპანეთი, აპრილია); ... 7. კაზუტო საკატა (იაპონია, აპრილია). 3 ეტაპის ჯამი: უედა 61; როსი 50; საკატა 49

ყმაწვილმა როსიმ წელს მეორე ეტაპი მოიგო. იგი სტარტზე შეფერხდა და მე-13 ადგილზე აღმოჩნდა, მაგრამ ზედ ფინიშზე ლიდერი უედა მწარედ შეცდა.

## ჩოგბურთი

# ლუჩიჩმა «ბახ» და გაიმარჯვა

წინა კვირაში ტურებზე ერთბაშად ხუთი შეჯიბრი იყო, მეოთხედფინალს კი პირველ ნომრად განსეთილმა ოდენ ბოლში, ხორვატიის ქალთა ღია პირველობაზე მიაღწია. რაკი დიდი ვერაფერი დასი შეკრებილიყო, ჩია სამხრეთაფრიკელმა ამანდა კუტცერმა გრიალით უწია ნახევარფინალსაც, მაგრამ იქ 4:6, 3:6 დამარცხდა 15 წლის მასპინძელ მირიანა ლუჩიჩთან.

ნორჩმა ლუჩიჩმა ფინალიც მოიგო: სამ საათში 7:5, 6:7 (4-7), 7:6 (7-5) ძლია ფლორიდელი (აშშ) კორინა მორარიუ, კლასიფიკაციაში 129-ე ჩოგანი რომ იყო. მერე გოგო ისე დაიბნა, რომ მადლობა არათუ მეტოქეებსა და ქომაგებს, თვით ბურთის მიმტანებსაც კი გადაუხადა. ეს არცაა გასაკვირი, რადგან მირიანა პირველად მონაწილეობდა პროფ-ტურის შეჯიბრში, თუმცკი თავის ასაკში მსოფლიოში საუკეთესოა.

ლუჩიჩს გამარჯვება მიულოცა დიდმა გორან ივანიშევიჩმა, ვისაც ხელის მტევანი მოტეხილი აქვს და ამ კვირაში ვერ თამაშობს ბერლინში, 2 მილიონიან გერმანიის ღია პირველობაზე. და კიდევ, ტურის დელეგატმა ჯიმი მურმა ბრძანა, ჩემი გამოთვლით ლუჩიჩი პროფესიული ჩოგბურთის ისტორიაში პირველი მოთამაშეა, ვინაც კარიერის პირველსავე შეჯიბრში გაიმარჯვაო.



ასოშიეითიდ პრესი ბოლიდან

სხვაგან გადასარევი არაფერი მომხდარა. საერთაშორისო საინფორმაციო სააგენტოების ჩოგბურთზე მწერლებმაც ჩვეულებისამებრ გულდაგულ აღნუსხეს, თუ ვინ მერამდენე ტიტული მოიპოვა და ჯილდოდ რამდენი მიითვალა, რამდენი ეისი გააზერხა და ა. შ.

დულუთში (ჯორჯია, აშშ), „ატლანტა ათლეტიკ კლაბში“ ადრევე გავარდა სამი ბობოლა მასპინძელი: ჩანგი (1), კურიე (3) და აგასი (4), ფინალში კი ორი უცხოელი გავიდა. გაიმარჯვა 29 წლის განუთესელმა ურუგვაელმა მარსელო ფილიპინიმ, ვინაც 7:6 (7-2), 6:4 დაამარცხა ავსტრალიელი ჯეისონ სთოლთენბერგი.

ფილიპინი კლასიფიკაციაში კვირის დამდეგს 92-ე ადგილზე იყო. კარიერაში ტურნირი სულ მეოთხედ მოიგო, შტატებში კი — პირველად. ჰონორარად 43 ათასი დოლარი ერგო.

ფინალში ფილიპინიმ მარჯვედ გამოიყენა კორტის გარდიგარდმო მქროლი ქარი — გადამწყვეტ მომენტებში ზუსტად გათვალა და ბურთი მეტოქეს ჩაუგდო. ურუგვაელს შაბათს ქარშივე მოუწია 142-წუთა ნახევარფინალის თამაშიც. აი, პარასკევს კი რომ იელვა და დაიქუხა, აგასის მძლეველმა შვედმა მაგნუს ნორმანმა მალევე მოულო ბოლო ჩეხ პეტრ კორდას, რაკი ყინულის ჰოკეის სთენლის თასზე „კოლორადო ავალანშის“ თამაშის ტელევიზორით საცქერლად მიეჩქარებოდა.

მეოთხედფინალი: ნორმანი — კორდა (5) 6:4, 6:4; სთოლთენბერგი (7) — ფერნანდუ მელიჟენი (ბრაზილია) 3:1 (მერე ჩანგის გამგდებს თეძო ეტკინა); ფილიპინი — გილბერტ შალერი (ავსტრია) 6:1, 6:2; ქრის ვუდრაფი (აშშ, 8) — სენდონ სთოლი (ავსტრალია) 6:1, 4:6, 6:3. ნახევარფინალი: ფილიპინი — ვუდრაფი 7:5, 3:6, 6:4; სთოლთენბერგი — ნორმანი 6:4, 5:7, 6:3

გერმანიაში ერთბაშად ორი ტურნირი იყო: ჰამბურგში ქალთა „რექსონას თასი“, მიუნხენში კი ვაჟთა „ბე-ემ-ვეს ღია პირველობა“.

ჰამბურგი. მეოთხედფინალი: მარია სანჩეს-ლორენსო (ესპანეთი) — კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი, 2) 7:6, 5:7, 6:2; ივა მაიოლი (ხორვატია, 4) — მარი პირსი (საფრანგეთი, 5) 2:6, 6:4, 6:4; რუქსანდრა დრაგომირი (რუმინეთი, 7) — ბარბარა შეტი (ავსტრია) 6:1, 7:5; ან გალ-სიდო (საფრანგეთი) — პეტრა ლანგროვა (ჩეხეთი) 6:1, 4:6, 6:1. ნახევარფინალი: მაიოლი — სანჩეს-ლორენსო 6:3, 6:2; დრაგომირი — გალ-სიდო 6:4, 6:0

ფინალი: მაიოლი — დრაგომირი 6:3, 6:2

19 წლის 121-ე ჩოგან სანჩეს-ლორენსოს კონტიჩა კერპად ყოლია შერაცხული, მაგრამ მაინც მოუგო. გამოუცდელი ქალი პირველ ხელს 1:5 რომ აგებდა, ოთხ სეთ-პოინტს დაუძვრა და ხელი კიდეც მოიგო.

ნახევარფინალები მალე ჩათავდა, ფინალში კი მეწყვილეები შეიბნენ. მოგებულ ივას 79 ათასი ხვდა, წაგებულ რუქსანდრას — 36 ათასი. ერთმანეთთან საქმის გარკვევამდე მათ წყვილთა ფინალი 6:2, 6:7 (1-7), 2:6 წააგეს პირსთან და ანკე ჰუბერთან (გერმანია).

19 წლის მაიოლიმ წელს მეორე, კარიერაში კი მერვე ტიტული მოიხვეჭა, თანაც თიხაზე პირველად გაიმარჯვა, თუმცკი ამბობს, ამ ტიპის საფარი სხვებს მირჩევნიაო.

მიუნხენი. მეოთხედფინალი: მარკ როსე (შვეიცარია, 7) — კარლოს მოია (ესპანეთი, 2) 7:5, 7:6 (7-5); სლავა დოშედელი (ჩეხეთი) — ფრედერიკ ფეტერლაინი (დანია) 7:5, 6:4; ალექს კორეჩა (ესპანეთი, 5) — მარტინ ზინერი (გერმანია) 5:7, 6:2, 6:1; მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია, 8) — ანდრეა გაუდენცი (იტალია) 7:5, 4:6, 6:4. ნახევარფინალი: კორეჩა — როსე 6:3, 6:1; ფილიპუსისი — დოშედელი (შარშანდელი ჩემპიონი) 7:5, 7:5

ფინალი: ფილიპუსისი — კორეჩა 7:6 (7-3), 1:6, 6:4

1992 წლის ოლიმპიურ ჩემპიონ როსეს გრიპი ჰირდა, მაგრამ ავსტრალიის პირველობის ფინალისტი მოია მაინც ძლია. მერე აყლაყუდა შვეიცარელი 77 წუთში თავად დამარცხდა თიხაზე თამაშის ოსტატ კორეჩასთან.

მეორე ნახევარფინალში „სკადად“ ცნობილმა ფილიპუსისმა 19 ეისი გააზერხა და სამჯერ ეისითვე დაუძვრა სეთ-პოინტს, ფინალში კი ამავე იარაღით ისეთი დღე დააწია კორეჩას, რომ მსოფლიოს მე-13 ჩოგანმა იშაყირა და ავსტრალიელის მორიგი მოწოდებისას უკანა ხაზთან მდგარ მსაჯის სკამზე შედგა, აქაო და ასე თუ მოვიგერიებ ბურთსო.

„სკადმა“ მატჩიც ეისით დააგვირგვინა: ფინალში სულ 19 დაუგროვდა, ტურნირში — 71. მე-20 ჩოგანმა ფილიპუსისმა თიხაზე პირველი ტიტული მოიპოვა, კარიერაში — მესამე.

პრაღა. ჩეხეთის ღია პირველობა

მეოთხედფინალი: ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) — მარსელო რიოსი (ჩილე, 2) 4:6, 6:3, 6:0; ბოჰდან ულიჰრახი (ჩეხეთი, 3) — ალბერტო პორტასი (ესპანეთი) 2:6, 6:4, 6:4; სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი, 4) — რიჩარდ ფრომბერგი (ავსტრალია) 6:4, 4:6, 6:2; ემილიო ალვარესი (ესპანეთი) — მარსელო კრაკა (გერმანია) 6:3, 7:5. ნახევარფინალი: ულიჰრახი — სანტორო 6:4, 6:2; პიოლინი — ალვარესი 6:3, 6:7 (7-9), 6:1

ფინალი: პიოლინი — ულიჰრახი 6:2, 5:7, 7:6 (7-4)

## ქიცივა და ქიცმაცუნი

მსოფლიოს ბოლო ერთპიროვნულ მძიმეწონოსან ჩემპიონ რიდიკ ბოუს საქმე [illegible] ნია. კაცი შარშან [illegible] ტამ, მერე კი დიდმა მოკრივემ ვერც აშშ-ის საზღვაო ქვეითად ივარგა, წინა კვირაში კი [illegible] გამოაცხადა.

ახლა ირკვევა, რომ ბოუ თავისსავე დას — ვილმა მელტონსაც უცემია. და-ძმა ერთმანეთს შინ წაჩხუბებია. წაკინკლავების შედეგად ორივეს დახეთქვია ბაგე. 29 წლის მოკრივე ისე გამწარებულა, რომ დაი პოლიციაში დაუსმენია. ყოველივე ამას „ასოშიეითიდ პრესი“ იუწყება მავან ამერიკულ პროვინციულ ტელე-სადგურზე დაყრდნობით, რომელსაც ინფორმაციის წყარო თავის მხრივ არ გაუმხელია.

### გასწორება

როგორც უცხო ხილთა ყარაჩელ (პაკისტანი) ტრფიალ ყაფლან ჭანდიერის დელისელმა კორესპონდენტმა თენგიზ არტამონოვმა მოგვითითა, წინა „სარბიელში“ მაიკ ტაისონის პირველი ცოლის სახელად შეცდომით გვეწერა „რობი“. უნდა ყოფილიყო „რობინ“! კიდევ კარგი, გვარი არ შეგვშლია: „გივენსი“ სწორია.

პარასკევს ინდოეთის დამოუკიდებლობის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი დიდი საკრიკეტო ტურნირი რომ იწყება, ორი „კოლას“ — „კოკასა“ და „პეპსის“ შუღლს უფრო გაამწვავებს.

საქმე ისაა, რომ თუმც შარშან ჰინდუსტანის სამ ქვეყანაში გამართული მსოფლიო თასის სპონსორი „კოკა“ იყო, ახლა „პეპსიმ“ იმარჯვა და ხუთი წლის მანძილზე ინდოეთის მიერ შინ გასამართ ყოველ მატჩს დაეპატრონა, დამოუკიდებლობის თასისთვის კი ერთი მილიონი დოლარი (!) გაიღო.

შეჯიბრში მასპინძელთა გარდა შრილანკა, ახალი ზელანდია და პაკისტანიც მონაწილეობენ. პრობლემა სწორედ ამ უკანასკნელის ასპარეზობაა, რადგან პაკისტანი „კოკასთანაა“ შეკრული და მისი ლოგო კვართებიდან რომ მოიშალოს, ამისთვის ითხოვს გვარიან კომპენსაციას, რომლის გადახდაც ინდოელებს არა სურთ.

## კალათბურთი



დიდი ამერიკელი შაკილ ონილი უფარებს დიდ ლიტველ არვიდას საბონისს (11). „შაკის“ გუნდმა ბოლოსდაბოლოს აჯობა „საბასისას“ და შემდეგ წრეში გავიდა

როიტერი პორტლენდიდან

### კალათბურთის ეროვნული ასოციაციის პირველობა

პლეი-ოფის I წრე

(სამ მოგებამდე)

აღმოსავლეთი კონფერენცია

ჩიკაგო (1) — ვაშინგტონი (8) 3-0
მაიამი (2) — ორლანდო (7) 3-2 (4. V 91:83)
ნიუ-იორკი (3) — შარლოტი (6) 3-0
ატლანტა (4) — დეტროიტი (5) 3-2 (2. V 94:82; .4. V 84:79)

დასავლეთი კონფერენცია

იუტა (1) — კლიპერზი (8) 3-0
სიეტლი (2) — ფინიქსი (7) 3-2 (3. V 116:92)
ჰიუსტონი (3) — მინესოტა (6) 3-0
ლეიკერზი (4) — პორტლენდი (5) 3-1 (2. V 95:91)

II წრე (ოთხ მოგებამდე)

აღმოსავლეთი

ჩიკაგო — ატლანტა (დღეიდან)
მაიამი — ნიუ-იორკი (ხვალიდან)

დასავლეთი

იუტა — ლეიკერზი 1-0 (4. V 93:77)
სიეტლი — ჰიუსტონი (ჩვენებური ათვლით გამთენიის 5 საათზე დაიწყო)

## რაგბი

### სამართალს პური უჭამია

საქართველოს რაგბის კავშირის უფროსობის დაჟინებას გაუჭრია: ფირა-ს მოხელეებს გაურჩევიათ პორტუგალია — საქართველოს მატჩის ვიდეო-ჩანაწერი და დარწმუნებულან, რომ უნამუსო ფრანგი მსაჯის ცემაში ქართველ „ბორჯღალოსანთა“ მორკინალები — საფრანგეთში მოთამაშე ვანო ნადირაძე და თბილისელი „ქორი“ გია გიუნაშვილი უბრალონი ყოფილან. ამის შემდეგ ამ ბიჭების პოლონელებთან თამაშს წინ, წესითა და რიგით, ვერაფერი უნდა დაუდგეს.

ქართველები და პოლონელები შაბათს, 10 მაისს, გდანსკის თანამგზავრ კურორტ სოპოტში შეიბმებიან. 1993 წლის მაისში მეტოქეები იქვე უკვე ეთამაშნენ ერთმანეთს. მაშინ ჩვენებს რუსებთან წაგების გამო გული აცრუებოდათ და თუმც მატჩის სულ ბოლომდე ოდენ 6:9 აგებდნენ, საბოლოოდ 6:23 წაგება მაინც მოახერხეს.

ის თამაში 1995 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი იყო. შაბათის მატჩი ფირა-ს პირველობაზე III ადგილის დასაკავებლადაა. გარდა ამისა, გამარჯვებული 1999 წლის მსოფლიო თასის შესარჩევ ჯგუფში რუსეთთან ერთად მოხვედრას აცდება, წაგებულს კი იმპერია-ყოფილთან მოუწევს ჭიდილი.

„სარბიელში“
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

### ის აღარ იყო

შაბათს ლონდონის „უემბლიზე“ მთლად შარშანდელივით დიდი ფინალი ვეღარ გამართეს რაგბის ძე-ცდომილის — 13-კაცა სუპერ-ლიგის ბობოლა ლიდერებმა — ბრედფორდის „ხარებმა“ და სენთ-ჰელენსის „წმინდანებმა“. სენთ-ჰელენსმა მაშინ თუ 40:32 მოიგო, ამჯერად ოდენ 32:22 (16:10) გაიმარჯვა, მაგრამ მაინც შეინარჩუნა თასი, რომელიც მესხედ (!) თამაშდებოდა.

ფინალის დაწყება 20 წუთით დაგვიანდა — მავანმა პოლიციას ტრადიციულად აცნობა, ყუმბარა დავფალით და აგიფეთქდებათო. განგაში ცრუ გამოდგა.

სენთ-ჰელენსმა თამაში მეტოქის ლელოსკენ ბურთის გაგორებაზე ააგო — ამ ხერხით გაიტანა ხუთიდან სამი ლელო, კაპიტანმა ბობი გულდინგმა კი 7 ცდიდან 6 გოლი შეაგდო. აქვე შევნიშნავთ, რომ ლიგურად ლელო 4 ქულად ფასობს, გარდასახვა და საჯარიმო კი ერთურთისაგან არ განირჩევა, გოლი ჰქვია და 2 ქულა მოაქვს.

თამაშის დამთავრებას 18 წუთი რომ უკლდა, ბრედფორდი 10:30 ჩამორჩებოდა. „ხარებმა“ ხელი მერელა გამოიღეს. საბოლოოდ მათი მონაგარი 4 ლელო და 3 გოლი გამოვიდა.

#### ზე-12-ის სერიალი

X კვირა: 2. 05. ველინგთონი (ზელანდია) — ახალი სამხრეთი უელსი (ავსტრალია) 19:3 (3ლ); 3. 05. ოთაგო (ზელ) — ოქლენდი (ზელ) 28:45 (4ლ-7ლ), ჩრდილოეთი ტრანსვაალი (აფრიკა) — ქენთებრი (ზელ) 23:22 (2ლ-3ლ), ქვინზლენდი (ავსტ) — ნატალი (აფრ) 40:3 (6ლ), ვაიქათო (ზელ) — ჰაუტენპი (ყოფილი ტრანსვაალი, აფრ) 47:9 (5ლ)

9-9 თამაშის შემდეგ: ოქლენდი 40 ქულა; ველინგთონი და კანბერა (ავსტ) 31; ნატალი 27; ჰაუტენპი 22; ჩრდ. ტრანსვაალი 20; ნარინჯი (აფრ) 19; ვაიქათო 18; ქენთებრი 17; ახ. სამხრ. უელსი 16; ქვინზლენდი 15; ოთაგო 13

წრიული შეჯიბრის დასრულებამდე ორი სრული ტური დარჩა. პლეი-ოფში მოწინავე ოთხეული გადის. პირველი ეთამაშება მეოთხეს, მეორე — მესამეს. ნახევარფინალები და ფინალი იმის მოედანზე გაიმართება, ვისაც წრიულში უკეთესი ადგილი ეჭირება.

ბოლო ორ ტურში ნატალი უმასპინძლებს ჩრდ. ტრანსვაალს და ესტუმრება ჰაუტენპს. მანამდე ჰაუტენპი ქვინზლენდს ეწვევა. ველინგთონი სტუმრად ეთამაშება ოქლენდს, სულ ბოლო მატჩში კი თავად უმასპინძლებს კანბერას, რომელიც მანამდე შინ ეთამაშება ვაიქათოს. ამჟამად ველინგთონი კანბერას 16 ბურთით უსწრებს.

რაგბის კლუბი „ყოჩები“ აცხადებს 1987-88 წლებში დაბადებული ბიჭების მიღებას. მწვრთნელ ნუგზარ მალალურაძეს მომავალი მობურთალებითურთ მიაკითხეთ ორშაბათს, ოთხშაბათს ან პარასკევს, დღის 5 საათიდან, ვაკის სტადიონის ტაბლოსთან.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტი მაია აბზიანიძე

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29